# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№29 (1539) 24–27 მარტი, 1997 წელი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## თურმე ნუ იტყვით და მოშიმშილეებს ნაგვის ყუთებში ბომბები ჰქონდათ ჩამონტაჟებული პრეზიდენტის ასაფეთქებლად...

3

## ქალბატონ ნანული შევარდნაძის მოლოდინში სინათლე გამოჩნდა ჩვენს ფანჯრებში

3

## ჩვენ მოვითხოვთ რუსეთისაგან ყველაფერს, რაც კი გვერგება

2

## სიგარეტის გამო ორმა ძალოვანმა უწყებამ ერთმანეთს ლამისაა ომი გამოუცხადოს

2

# თაღლითები...

## დაგვცინიან აშკარად და დაუფარავად

4

## დავით კლდიაშვილი „სოლომან მორბელაძე“

5

## რა შედეგი შეიძლება იქონიოს დენთის საწყობთან თამბაქოს წევამ

6

## დოკუმენტები ამხელენ კვირაიას კორუფციაში

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ გადაწყვიტა პარლამენტის საგანგებო საგამოძიებო კომისიისთვის გადაეცა მამხილებელი საბუთები. მისი თქმით, ეს დოკუმენტები ამხელენ საქართველოს უშიშროების მინისტრს შოთა კვირაიას კორუფციაში და უცხოეთის სპეცსამსახურებთან კავშირში. ამის შესახებ ქალბატონმა ირინამ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა. პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას აზრით, უმჯობესი იქნება, თუ დოკუმენტები განსახილველად გადაეცემა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს, რადგან საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადა 15 აპრილს იწურება. ჟვანიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ დოკუმენტების გაცნობაზე მისი მზადყოფნა იმას როდი ნიშნავს, რომ ის ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მოსაზრებას იზიარებს. (ბი ჯი აი)



## ნატო უკმაყოფილოა

ნატო–ს ექსპერტები უკმაყოფილონი არიან საქართველოსა და ნატო–ს თანამშრომლობის დონით – განუცხადა BGI-ის კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ ადამიამ. მისი თქმით, ნატო–ს ექსპერტები თვლიან, რომ საქართველო უფრო მეტს აცხადებს, ვიდრე სინამდვილეში ახორციელებს. პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მიხედვით, საქართველოს გასულ წელს ასზე მეტ ღონისძიებაში უნდა მიეღო მონაწილეობა, მან კი მონაწილეობა მხოლოდ თექვსმეტში მიიღო, – აღნიშნა ადამიამ.

## კრისტოფერ სმიტი შეშფოთებულია

აშშ–ს კონგრესის ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა კრისტოფერ სმიტმა აფხაზეთის პრობლემის გადასაჭრელად ძალისხმევის გააქტიურებისაკენ მოუწოდა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთან გამართული დისკუსიის შემდეგ მან გააკეთა განცხადება, სადაც გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ კვლავაც გადაუწყვეტელია აფხაზეთიდან დევნილი 250 ათასი ლტოლვილის საკითხი და კონფლიქტის მოგვარებაში არავითარი პროგრესი არ შეიმჩნევა, რამაც გამოიწვია საქართველოს პარლამენტის 11 დეპუტატის საპროტესტო აქცია. მათ შორისაა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია. (ბი ჯი აი)

## გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს

ბატონ ნ.ბრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ, თქვენი გაზეთის ა.წ. 17–20 მარტის 26–ე ნომერში დაიბეჭდა თითქოსდა ვიღაც „სამხედროების“, ფაქტიურად კი ანონიმური წერილი, სადაც გაკრიტიკებულია თავდაცვის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოში შემავალი კომერციული სამმართველო. ჩვენ კრიტიკაზე პასუხისაგან თავს შევიკავებდით, რომ არა ის ზღვარგადასული ცილისწამება, რაც აღნიშნულ წერილშია. არ შევუდგებით ცალკეულ ცილისწამებაზე კონკრეტული პასუხის გაცემას, მოვიყვანთ მხოლოდ ფაქტებს, დასკვნის გამოტანა დაინტერესებულ პირებს თავად შეუძლიათ.

როგორც მოგეხსენებათ, რესპუბლიკის ბიუჯეტიდან თავდაცვის სამინისტროსათვის თანხების გამოყოფა სისტემატიურად გვიანდება, როგორც წესი, 3–4 თვით, ასეთ პირობებში პირადი შემადგენლობის შენახვა (ხელფასები, საკვები, ტანსაცმელ-აღჭურვილობა, მარაგ ნაწილები, საწვავ-საპოხი მასალები და სხვა) შეუძლებელი ხდება. სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად ჩათვალა გამონახულიყო დაფინანსების დამატებითი წყაროები, რომლებიც დროებით შეენაცვლებოდა საბიუჯეტო სახსრებს. ამ მიზნით მივმართეთ ეროვნულ ბანკს შემუშავებული ბიზნეს გეგმით და ვთხოვეთ დახმარების აღმოჩენა საზღვარგარეთიდან ხორბლის შემოტანაში, რისი წინადადებაც გააჩნდა კომერციულ სამმართველოს უცხოელი მომწოდებლებისაგან. ეროვნული ბანკი, გაეცნო რა ჩვენი წინადადების მიზანდასახულობას, მის მნიშვნელობას საჯარისო ფორმირებების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფაში, გაგებით მოეკიდა მას და მოგვცა საგარანტიო წერილი, რომელიც ძალაში შედიოდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ხორბლით დატვირთული გემები საქართველოს რომელიმე პორტში შემოვიდოდა. საბოლოოდ შემოტანილ იქნა საფრანგეთიდან 25900 ტონა ხორბალი, რომელიც დღემდე ნაწილობრივ ინახება კაჭრეთის წისქვილკომბინატის საცავებში. ნაწილი ხორბალი დაიფქვა და გაიცვალა ჯარისათვის საჭირო სხვადასხვა სახის საკვებ პროდუქტებში. დღეისთვის სარეალიზაციოდ დარჩა 11.0 ათასი ტონა ხორბალი. 5000 ტონა (და არა 3000 როგორც ანონიმურ წერილშია აღნიშნული) გაიგზავნა საბარტერო გაცვლის მიზნით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, საიდანაც შემოდის სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტები. დარჩენილ ხორბალს დღესაც, სხვათაშორის, ყველაზე იაფად საქართველოში ვუკეთებთ რეალიზაციას და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვმართონ.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ გაიტანდა თავს ქართული ჯარი, რომ არა ჩატარებული ოპერაცია და მასში ბ–ნ ნ.ჯავახიშვილის მიერ შეტანილი წვლილი, რისთვისაც მას პირადად მადლობის წერილიც კი გაუგზავნა თავდაცვის მინისტრმა.

ბატონო ნოდარ!

ჩვენ მოგახსენეთ ფაქტი, როგორც ის იყო. გულსატკენია, რომ თქვენს გაზეთში, რომელსაც პატივს ვცემთ, ადგილი დაეთმო ანონიმურ წერილს. მომავალში მსგავსი ინფორმაციის შემოსვლის შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ თქვენთან, რათა ფართო მკითხველს არ მიეწოდოს დეზინფორმაციული მასალა.

პატივისცემით თავდაცვის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

**მაიორი**
**მევლუდ ემრისელაშვილი**

# სიგარეტის გამო ორმა ძალოვანმა უწყებამ ერთმანეთს ლამისაა ომი გამოუცხადოს

*სააგენტოს მიერ გადაცემულ ინფორმაციას სოციალისტ ვახტანგ რჩეულიშვილის მამისათვის დიდძალი ფულის წართმევის შესახებ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა.*

*სამარცხვინო გახდა, ვის წაართვეს და ვისი თანხა იყო სინამდვილეში დიდძალი მწვანე დოლარები?*

*ქალაქში მრავალნაირი ჭორი აგორდა. ამ ჭორებს შორის ერთ–ერთი მეტად დამაფიქრებელი გახლავთ, რომ ორ ძალოვან უწყებას შორის მიდის ბრძოლა სიგარეტის ბიზნესის გამო. თუ ეს ასეა, ყველაზე სამარცხვინო სწორედ ეს ფაქტი ჩანს.*

*ქვემოთ გთავაზობთ ერთ–ერთ ინფორმაციას, რომელიც რედაქციას არ ეკუთვნის და რომელიც, ცოტა არ იყოს, ტენდენციურიც ჩანს, მაგრამ ვფიქრობთ, ორივე მხარის ინფორმაციების თავმოყრა დამოუკიდებელ ჟურნალისტურ ძიებაში დაგვეხმარება.*

*ინფორმაციის ავტორმა ვინაობის გამომჟღავნება არ ისურვა.*

## კვალი უფრო შორს მიდის

14 მარტს კახეთის გზატკეცილზე მომხდარმა შემთხვევამ ჩვენი საზოგადოების ყველა ფენა ძალიან აალელვა.

შეიარაღებული თავდასხმა მოეწყო ფირმა „ომეგას“ თანამშრომლებზე და გაიტაცეს დიდძალი თანხა; ეს ის ფირმაა, რომელმაც ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში მარტო საბაჟო გადასახადის სახით დღემდე სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანა 7374453 ლარი ანუ სიგარეტის ბიზნესიდან საბაჟო გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში მთლიანად შეტანილი თანხის 55,37%.

თავისთავადი კრიმინალური მოქმედების გარდა, ეს უკვე სახელმწიფოებრივი დანაშაულია.

თავზარდამცემია, რომ თავდასხმის მონაწილეთა შორის იყვნენ პოლიციის თანამშრომლები, საკმაოდ მაღალი ჩინისანი.

თავზარდამცემია, რომ თავდასხმის სხვა მონაწილენი თუ ორგანიზატორნი არიან ფირმა „ელიზის“ თანამშრომლები, „ომეგას“ კონკურენტი ფირმისა, რომელთაც პატიოსან კონკურენციას ამორალური გზები ამჯობინეს და ყაჩაღობით სცადეს „ომეგას“ ჩამოშორება.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტის კახა თარგამაძის (ვისი უშუალო ხელმძღვანელობითაც ოპერატიულმა ჯგუფმა გამოამჟღავნა ეს ორგანიზაციულ–შეიარაღებული ბანდა) სატელევიზიო გამოსვლიდან შევიტყვეთ, ფირმა „ელიზის“ თანამშრომლებმა ყოველნაირად მოამზადეს ეს თავდასხმა: საიდუმლოდ უსმენდნენ ფირმა „ომეგასა“ და სხვა კონკურენტი ფირმების სატელეფონო საუბრებს, კვალში დაჰყვებოდნენ და უთვალთვალებდნენ „ომეგას“ ხელმძღვანელებს... აგრეთვე, წინასწარ მოისყიდეს ჟურნალისტები და მოამზადეს სამარცხვინო პუბლიკაცია, „დილის გაზეთმა“ რომ გამოაქვეყნა და მიზნად ისახავდა საზოგადოებრიობის დაბნევას. ფირმა „ომეგას“ პრეს-ცენტრმა ამხილა იმ პუბლიკაციის ავტორთა არაკეთილსინდისიერი ზრახვანი.

ყველა ეს ნიშანი, ბანდიტური თავდასხმით დაგვირგვინებული, აშკარად მიგვითითებს, რომ კვალი უფრო შორს მიდის და ალბათ მალე გავხდებით მოწმე მაფიური ჯგუფის მხილებისა, ნამდვილ ორგანიზატორთა გამოაშკარავებისა.

ამის იმედს გვაძლევს პოლიციის ღირსეულ წევრთა მოქმედება.

**P.S.** საქართველოს პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ა.წ. 21 მარტს დაუკავებია ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტი თ.ელიზბარაშვილი.

## თბილისში შეღავათის მქონე 13 ათასი აბონენტია

კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტროში გამართულ პრეს–კონფერენციაზე მინისტრი ჟურნალისტებს სისტემაში შექმნილ პრობლემებზე ესაუბრა. აღინიშნა, რომ სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა ელ.ენერგიის არქონის და სიხშირის ვარდნის გამო. მინისტრის თქმით, 2 წელია, რაც ავტომატურ სატელეფონო სადგურებს სათადარიგო ნაწილების არცერთი დეტალი არ მიუღიათ. მისივე თქმით, საქართველო სატელეფონო გადასახადების მხრივ დსთ-ს ქვეყნებში ბოლო ადგილზეა და შეღავათები, რაც ჩვენს ქვეყანაშია დაწესებული, სხვა არცერთ ქვეყანაში არ არის. კერძოდ, ფ.ინჯიას თქმით, თბილისში შეღავათის მქონე 13 ათასი აბონენტია.

სატელეფონო ტარიფების გაზრდასთან დაკავშირებით ფ.ინჯიამ განაცხადა: „გადაწყვეტილების კანონიერება და უკანონობა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით იცნობა“. მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება მზადდებოდა ყველა კანონის საფუძველზე და შეთანხმებული იყო შესაბამის ინსტანციებში. კერძოდ, ამის შესახებ ეცნობა სახ.კანცელარიას, საქართველოს პარლამენტის საფინანსო–საბიუჯეტო კომიტეტს, ეკონომიკის, იუსტიციის და ფინანსთა სამინისტროებს.

შ.პ.ს „საქელექტროკავშირი“-ს გენ.დირექტორის ა.იაშვილის მტკიცებით, ეს გადაწყვეტილება ძირითადად იმათ ეხებათ, ვინც ტელეფონის საშუალებით აწარმოებს ბიზნესს. მისი აზრით, მოსახლეობას და ორგანიზაციებს ტარიფი არ მომატებიათ, შემოღებულია მხოლოდ სალიმიტო დრო. მისივე თქმით, ტელეფონის სულ არქონას, ჯობია გქონდეს და შეზღუდული ლიმიტით. (იფრინდა)

## ჩვენ მოვითხოვთ რუსეთისაგან ყველაფერს, რაც კი გვერგება

*ბი ჯი აის კორესპონდენტი თომა ჩაგელიშვილი ესაუბრა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს რევაზ ადამიას, რომელიც 18–19 მარტს ნატო–ს შტაბ–ბინაში იმყოფებოდა ვიზიტით ბრიუსელში*

*– რა იყო თქვენი ვიზიტის მიზანი?*

– ბრიუსელში ჩატარდა სემინარი თემაზე – ბიზნესის განვითარების ზეგავლენა პოლიტიკაზე რუსეთში და ყოფილი სსრკ–ს რესპუბლიკებში. მიწვეულნი იყვნენ დამოუკიდებელი ექსპერტები რუსეთიდან, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან. ჩემი მოხსენება ეხებოდა კავკასიის, კერძოდ კი საქართველოს დამოკიდებულებას ამ პრობლემებისადმი – განსაკუთრებით ნავთობის ტრანსპორტირების განვითარებისადმი. სემინარი შეეხო კავკასიის უსაფრთხოებისა და კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის თემასაც.

*– რა პოზიციაა გამოხატული თქვენს მოხსენებაში?*

– მე განვაცხადე, რომ საქართველოსთან დამოკიდებულებაში რუსეთის პოლიტიკა ჯერ კიდევ გაურკვეველია. რუსეთი ამიერკავკასიაში პოლიტიკური და სამხედრო გავლენის შენარჩუნებას ცდილობს და ნაკლებად ზრუნავს ეკონომიკურ ინტერესებზე. მე აღვნიშნე, რომ თუ ეს პოლიტიკა არ შეიცვალა და არ დაემთხვა ორმხრივი ეკონომიკური ინტერესები, რუსეთი ვერ ითამაშებს ასეთ როლს ამიერკავკასიაში.

*– როგორ მიიღეს ეს რუსეთის წარმომადგენლებმა?*

– რუსეთის ექსპერტებმა გაიზიარეს ეს მოსაზრება.

*– თქვენი ვიზიტი მხოლოდ სემინარით იყო შემოფარგლული?*

– რა თქმა უნდა, არა. მქონდა შეხვედრები ნატო–ს ექსპერტებთან. განვიხილეთ ნატო–სა და საქართველოს თანამშრომლობა პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ჩარჩოებში. ისინი უკმაყოფილონი არიან ამ თანამშრომლობის დონით. მათი თქმით, საქართველო მეტს აცხადებს, ვიდრე აკეთებს. გასულ წელს ჩვენ ასზე მეტ ღონისძიებაში უნდა მიგვეღო მონაწილეობა. ამ დროს, მხოლოდ თექვსმეტში მივიღეთ.

*– რატომ?*

– მთავარი წინააღმდეგობა იყო ბიუროკრატიზმი სახსრების გამოყოფაში. თუმცა, ამ ღონისძიებების 80 პროცენტს ნატო აფინანსებს. ბრიუსელში მიღწეული იქნა შეთანხმება დაფინანსების პროცესის გამარტივების შესახებ.

*– ხომ არ არის საქართველოს თავდაცვის მინისტრის „დამსახურება“ იმაში, რომ თანამშრომლობა საკმარისად არ ვითარდება? მას ხომ საყვედურობდნენ, რომ ნატოსთან თანამშრომლობაზე არ მიდის...*

– საქმე იმაშია, რომ ჩვენ ვდგავართ ისეთი პრობლემების წინაშე, როგორიცაა ინგლისური ენის და სამხედრო ბიუჯეტის სპეციალისტების უკმარისობა. ამის დაძლევა შეიძლება, კადრების მომზადებაში ჩვენ გვეხმარებიან ნატო, გერმანია, აშშ, დიდი ბრიტანეთი.

*– ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფება იშლება. რუსეთის რომელი სამხედრო ნაწილები დარჩება საქართველოში?*

– ეს ჯერ არავინ იცის. საქართველოში რუსეთის სამხედრო ნაწილების კონტინგენტი საგრძნობლად უნდა შემცირდეს, მაგრამ ეს პროცესი არასწორად მიმდინარეობს.

*– რას გულისხმობთ?*

– საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის სამხედრო კონტინგენტის გაზრდა ან შემცირება ჩვენთან უნდა იყოს შეთანხმებული, რაც დღეს არ ხდება.

*– როგორ წყდება სამხედრო ტექნიკის საკითხი?*

– არის მისი გატანის ფაქტები. ეს საქართველოსთვის პრობლემებს ქმნის, მაგრამ არანაკლებ პრობლემებს შეუქმნის იგი თავად რუსეთსაც. შექმნილია სამხედრო ქონების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მიხეილ უკლება ხელმძღვანელობს. მიმდინარეობს საბჭოთა არმიის ყველა ნაწილის სამხედრო ქონების აღწერა. ჩვენ მოვითხოვთ რუსეთისგან ყველაფერს, რაც კი გვერგება.

## განიხილეს ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემა

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი ჟოიცეხ ლამენტოვიჩი შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა აღნიშნა, რომ ეუთოს წარმომადგენელთა ვიზიტებმა რეგიონის კონფლიქტის ზონებში სისტემატური ხასიათი უნდა მიიღოს, რაც ხელს შეუწყობს რეალური ინფორმაციისა და ადეკვატური ზომების მიღებას. ჟოიცეხ ლამენტოვიჩმა შეხვედრებზე საქართველოს პარლამენტში, მოქალაქეთა კავშირთან და ედპ-სთან განიხილა ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემა და საქართველოში რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის საკითხი. (ბი ჯი აი)

## მესხები თავისი უფლებების აღდგენას ითხოვენ

საქართველოს რეპატრიაციის სამსახურის უფროსმა გ.მამულიამ განაცხადა, რომ მესხების დელეგაცია, რომელსაც საზოგადოება „ხსნა"-ს თავმჯდომარე ისა თაამე ხელმძღვანელობს, მთავრობაში განიხილავს გადასახლებული მესხების რეაბილიტაციისა და მათი საქართველოში ეტაპობრივი დაბრუნების სახელმწიფო პროგრამის შესრულებას. გ.მამულიას ინფორმაციით, დელეგაციამ პროტესტი გამოხატა საქართველოს ხელისუფალთა უმოქმედობის გამო მესხების პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. მიუხედავად პროგრამაში მითითებული ვადებისა, დღემდე არ არის მიღებული კანონი მესხების რეაბილიტაციის შესახებ. მანვე აღნიშნა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ნეგატიურად უყურებს ამ ფაქტს და რომ აშშ-ს სახ.დეპარტამენტმა თავის ყოველწლიურ მოხსენებაში აღნიშნა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები მესხებთან დამოკიდებულებაში. გ.მამულიას თქმით, „სოხუმში, აფხაზეთის ხელმძღვანელობამ მიმართა მესხებს წინადადებით - დასახლდნენ აფხაზეთში ქართველების მიტოვებულ სახლებში". მანვე გვაცნობა, რომ 27 მარტს მოსკოვში, ჩატარდება რადიკალურად განწყობილი მესხების - საზოგადოება „ვატანი"-ს ყრილობა, რომელზედაც ვარაუდობენ დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების სახელზე მიმართვის მიღებას, „რათა მათ ზეგავლენა მოახდინონ საქართველოზე მესხების პრობლემის გადასაწყვეტად". (იფრინდა)

# ქალბატონ ნანული შევარდნაძის მოლოდინში სინათლე გამოჩნდა ჩვენს ფანჯრებში

20 მარტს, გასული კვირის ხუთშაბათს, გაზეთ „საქართველოს" ჩაბნელებულ დერეფანში, სადაც უხიფათოდ, კინწის მოუტეხავად, დღისით-მზისით დიოგენის ფარნითაც კი ვერ გაივლის კაცი (იგივე უნდა ითქვას ჩვენს ზემოთ არსებულ დემოგრაფიის ინსტიტუტზეც), მოულოდნელად გაუგონარი ამბავი მოხდა...

ჩვენს ფანჯრებსა და ჩაკუნაპეტებულ დერეფნებში სინათლე გამოჩნდა...

ამ ელდისმომგვრელი სიხარულის მიზეზიც მალე დავადგინეთ. თურმე, ჩვენს შენობაში მდებარე დარბაზში საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ინიციატივით შვილად აყვანის შესახებ კანონპროექტის განხილვა ყოფილა დაგეგმილი. აღნიშნული საკითხი, გარდა დემოგრაფიული საზოგადოებისა, დაინტერესებული ყოფილა საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის", რომლის ხელმძღვანელიც ქალბატონი ნანული შევარდნაძე გახლავთ.

მარადყურდაზშულ თელასს, მისწვდენია რა ეს ინფორმაცია, ყურიდან სასწრაფოდ ბამბა გამოუღია და პრეზიდენტის მეუღლის საპატივსაცემოდ ჩვენს ჯოჯოხეთურ ტალანებს სინათლე მოევლინა...

თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი ორი დღის განმავლობაში რედაქციაში სინათლე ჩახჩახებდა და ამ ორი დღის მანძილზე ბედნიერებით დამზრალმა ჩვენმა თანამშრომლებმაც სული მოითქვეს.

აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და ქალბატონ ნანულისადმი ღრმა პატივისცემით გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა მისი მოგონება დედაზე, რომელმაც შეუძლებელია არ შეაძრწუნოს და გულგრილი დატოვოს მკითხველი. ამ მემუარულ ჩანახატში ზედმიწევნით ზუსტადაა გადმოცემული ჩვენი არცთუ შორეული წარსულის დუხჭირი ყოფა. ამჟამინდელი ცხოვრების პირობების გამო ჩანახატში გამჟღავნებული სატკივარი განზოგადებულ სახეს იღებს და სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია.

* * *

ახლა ორიოდე სიტყვით იმაზე, თუ რა მოხდა დარბაზში.

ქართული საზოგადოებრიობა სერიოზულად არის შეშფოთებული იმის გამო, რომ მეორდება სტამბულის ავადმოსაგონარი ბაზრობის ისტორია, იმ განსხვავებით, რომ, ამჟამად, ქართველი ბავშვები ოკეანის გაღმა იყიდებიან...

ამდენად, სავსებით დროულად მივაჩნია დემოგრაფიული საზოგადოებისა (პრეზიდენტი ბატონი ამირან გომართელი) და საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" (თავმჯდომარე ქალბატონი ნანული შევარდნაძე) ინიციატივა განხილულიყო ის კანონი, რომელმაც უნდა დაარეგულიროს შვილად აყვანის საკითხი.

სხდომამ დიდი ემოციური ენებათაღელვა გამოიწვია, რომლის დაწვრილებით გადმოცემისაგან თავს შევიკავებთ, ვინაიდან პრესამ და ტელევიზიამ უკვე ასახა იგი, მაგრამ გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებას. იგრძნობოდა ინტერესთა აშკარა სხვადასხვაობა. დემოგრაფიული საზოგადოება და „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" მოითხოვდნენ, რომ საზღვარგარეთ ბავშვთა გაშვილების პროცესი უფრო მეტად კონტროლირებადი იყოს და ამ მიზნით გაშვილების პროცესში ჩართულ იქნას რამდენიმე უწყება და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რათა ერთეულების ხელში არ აღმოჩნდეს ჩვენი ბავშვების ბედი...

არადა, იმ სააგენტოებს, რომლებიც ახლა საქართველოში მოქმედებენ და ბავშვთა გაშვილებით არიან დაკავებულნი, ერთეულსაც ვერ დაარქმევ მათივე ანუ „გამშვილებელთავე" განცხადებით, ასეთ სააგენტოთა რიცხვი პატარა საქართველოში 13 ყოფილა. ასევე, მათივე აღიარებით, ამ სააგენტოთაგან ზოგი კანადაზე მუშაობს და ზოგი ამერიკაზე (ა.გომართელის მოსწრებული რეპლიკით, კარგი იქნებოდა ყველას საქართველოზე ემუშავა). ჩვენის მხრივ დავსძენდით, მარტო ლექსად უნდა ვთქვათ - „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?".

სააგენტოები ფარად იფარებენ რა ჩვენს დუხჭირ ყოფას, აცხადებენ - ყველა გაშვილებული ბავშვი ავადმყოფი იყო და მათი საქართველოში განკურნება შეუძლებელი გახლდათო. არადა, მაშინ რატომ აშფოთებთ ფართო კომისიის შექმნა ამ ავადმყოფი ბავშვების ბედის გადასაწყვეტად? ესეც არ იყოს, როგორი დასაჯერებელია ყოველწლიურად საშუალოდ 85 ბავშვი იშვილონ უცხოელებმა და მაინცდამაინც ყველა ავადმყოფი?

არა გვგონია, ამ დუხჭირი ცხოვრების გამო სამშობლო მიწიდან მოწყვეტილ პატარებში მართლაც ყველა ავადმყოფი იყოს...

როგორც ქართველებს გვჩვევია, ყველა საქმეზე მხოლოდ ხმაურს ავტეხთ ხოლმე, მერმე კი აღარავის გვახსენდება, რით დამთავრდა, როგორ გადაწყდა ის საკითხი, რომელმაც ყველა შეგვაშფოთა. იმედია, ამჯერად მაინც, ეს შეკრება ერთჯერადი აქტით არ დასრულდება და პრობლემის გადაწყვეტამდე საქმის ინიციატორები აღარ გაჩუმდებიან.



გ. აბაშიძის ნახატი

# თურმე ნუ იტყვით და მოშიმშილეებს ნაგვის ყუთებში ბომბები ჰქონდათ ჩამონტაჟებული პრეზიდენტის ასაფეთქებლად...

„როგორმე უნდა ავაყენოთ მოშიმშილეები" - თქვა ირინა სარიშვილმა და, ზოგიერთი გაუთვითცნობიერებლის გასაკვირად, რატომღაც უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს გადასწვდა და ისინი უცხო ქვეყნის აგენტებად გამოაცხადა. მეორე დღეს, ხალხმრავალი მიტინგის შემდეგ, მოშიმშილე დეპუტატებმა შეაჩერეს შიმშილობა. რა კავშირში იყო შიმშილობა შოთა კვირაიასთან, ამის შესახებ პარლამენტში არცთუ ორაზროვანი საუბრები მიმდინარეობს; მაგრამ იგი უფრო მეტად სხვა ფაქტზე მიუთითებს, მოტყუებულ ხალხს მორიგ მსხვერპლს სწირავენ თავისი ძალაუფლების გასაგრძელებლად. თორემ ჩვენი მინისტრების კორუმპირებულობა და რუსეთის სიყვარული საყოველთაოდ ცნობილია. რაც შეეხება მოშიმშილე დეპუტატებს, მათ პატიოსნებაში, პატრიოტიზმში ეჭვის შეტანა ყველაზე დიდი უკეთურებაა, რაც შეიძლება უკუღმართმა გონებამ მოიფიქროს, რადგან ასეთი ეჭვი ისედაც ნდობადაკარგულ ლტოლვილებს (არა მხოლოდ მათ) ნიჰილიზმსა და მისგან გამომდინარე დეპრესიას კიდევ უფრო უძლიერებს და



უღრმავებს აქციის მონაწილეებში საქართველოში გავრცელებულმა ჭირმა იძალა, რადგან ისეთი სისტემაა შექმნილი, რომ ყველა ეჭვითაა შეპყრობილი. საზოგადოებრივი აზრიც ისეა მომართული, რომ თითქოს მსოფლიოს სპეცსამსახურების მთავარი ბუდე და პოლიგონი საქართველო იყოს. ასეთ აბსურდულ სიტუაციაში ვინმეს და, მითუმეტეს, პროტესტის გამომხატავი ადამიანის უცხო ქვეყნის აგენტად გამოცხადება, ძალიან ადვილია. საქმეს არც ლუსტრაციის კანონი უშველის, რადგან იგი სწორედ ნამდვილი აგენტებისაგან პატიოსანი მოქალაქის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. შიმშილობის შეწყვეტაც, გარკვეულწილად, სწორედ ამ მოძალებულმა ჭირმა გამოიწვია. ძნელია, როდესაც საშიშროება გემუქრება, მტრის აგენტად შეგრაცხოს საზოგადოებამ. მითუმეტეს, რომ გასაწირად გამზადებული შოთა კვირაია მართლაც დადიოდა მოშიმშილეებთან, თანადგომას უცხადებდა მათ და სანაგვე ყუთებსაც ებრძოდა. თურმე ნუ იტყვით და მოშიმშილეებს ამ ყუთებში ასაფეთქებელი მოწყობილობის ჩამონტაჟება ჰქონდათ განზრახული პრეზიდენტის ასაფეთქებლად.

მაგრამ, მოდით, წვრილმანებს თავი დავანებოთ და სხვა კუთხით შევხედოთ მიმდინარე მოვლენებს. ქვეყანაში ისეთი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობაა, რომ ხელისუფლების შიში - ძალაუფლება დაკარგოს, შეიძლება ხვალ რეალობად იქცეს. რუსეთში მიმდინარე ცვლილებები, ჭიპით მასზე გადაბმულ ჩვენს ხელისუფალთ გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს, შეიძლება ხვალ მათ ბატონ-პატრონი აღარ ჰყავდეთ საქართველოში კი დღეს არც მათ და არც ოპოზიციას, როგორც საპარლამენტოს, ასევე პარლამენტის გარეშე დარჩენილ მემარჯვენე-მემარცხენეებს არ აწყობთ სახელმწიფო კრიზისი, გარდა სისხლისა და ქაოსის მოყვარე მემარცხენე რადიკალებისა, რომლებიც ამ დროს სარგებელს მოძებნიან. ამიტომაც საჭიროა საზოგადოების დამუხტვა და მისი ენერგიის ნიველირება. სწორედ ამიტომ იყო, ჯერ კიდევ თებერვლიდან ინტენსიურად დაიწყეს საპირისპირო ბანაკებმა ისეთი პუბლიკაციების გამოქვეყნება, რომელიც დეზორიენტაციას შეიტანდა საზოგადოებაში. ერთის მხრივ, რუსეთიდან საშიშროება, ომი და ქაოსი კავკასიაში, მეორეს მხრივ, თურქეთის ინტერესები, რომელიც ნატოს მეშვეობით ასევე დაიპყრობს საქართველოს და ასევე ომის ქარცეცხლს გააჩაღებს კავკასიაში. ამ შემთხვევაში სადაა საქართველო და სადაა მისი ინტერესები, აბსოლუტურად არავის არ აინტერესებს. ორივე მხარე სამომავლოდ გვემღერავს: „წინ წყალი და უკან მეწყერიო". რაც შეეხება აფხაზეთსა და ჩრდილო ქართლს (სამაჩაბლოს) ნაცვლად

გაგრძელება მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთ-საქართველოს ერთობლივი სემინარი

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მდგომარეობა და მათი განვითარების პერსპექტივები – ასეთი დევიზის ქვეშ დაიწყო გუდაურში რუსეთ-საქართველოს ერთობლივი სემინარი. მონაწილეობას იღებენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსა და საქართველოს პარლამენტის დეპუტატები. რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობს სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერი ალექსანდრე შოხინი, საქართველოსას – პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.

## საერთაშორისო აქცია

21–26 აპრილს მოეწყობა საერთაშორისო აქცია გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტის გავრცელების წინააღმდეგ. საქართველოს „მწვანეთა" მოძრაობის თავმჯდომარემ ნანა ნემსაძემ BGI-ის კორესპონდენტს აცნობა, რომ აქციის ორგანიზების ინიციატორია აშშ-ს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მწარმოებელთა ორგანიზაცია. მისი თქმით, აქციის პროგრამა ითვალისწინებს დემონსტრაციების მოწყობას და გამოსვლებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. აქციაში მსოფლიოს 21 ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას, მათ შორის საქართველოს „მწვანეები" – აღნიშნა ნემსაძემ.

## განიხილეს და მიმართეს

მარტოხელა პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების პრობლემები განიხილებოდა საქართველოს შრომის ფედერაციის მთაწმინდის რაიონული კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე. მთაწმინდის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის შურა არობელიძის თქმით, სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ორასზე მეტმა სოციალურად დაუცველმა მოქალაქემ, საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრის მოადგილემ და მთაწმინდის რაიონის დეპუტაციამ. სხდომაზე მიიღეს საქართველოს პარლამენტისადმი მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ აუცილებელია ჰუმანიტარული ხაზით მიღებული პროდუქტით ვაჭრობის აღკვეთა, პენსიების დროულად გაცემა და მისი განაწილება მუშაობის სტაჟისა და პენსიონერთა დამსახურებების მიხედვით. (ბი ჯი აი)

## სომხეთის დელეგაცია თბილისს ეწვია

22 მარტს თბილისს ეწვია სომხეთის ეროვნული საბჭოს დელეგაცია. იგი მონაწილეობას მიიღებს ევროპის იმ ქვეყნების ურთიერთობების კომისიის მუშაობაში, რომლებიც არ არიან გაწევრიანებული ევროსაბჭოში. როგორც სააგენტო „ნოიან ტაპანის" კორესპონდენტს სომხეთის ეროვნული საკრებულოს სპეც-ცენტრში აცნობეს, კომისიის მუშაობაში სომხეთის მხრიდან მონაწილეობას მიიღებენ საგარეო ურთიერთობების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე ოვანეს იგიტიანი (ფრაქცია „რესპუბლიკა") და დეპუტატი გაიანე სარუხანიანი (ფრაქცია „შამირამი"). (ბი ჯი აი)

## თურმე ნუ იტყვით და მოშიმშილეებს ნაგვის ყუთებში ბომბები ჰქონდათ ჩამონტაჟებული პრეზიდენტის ასაფეთქებლად...

მესამე გვერდიდან

ეს ტერმინი უფრო უპრიანია), მათი დაბრუნება არც რუსეთის და არც დასავლეთის ინტერესებში არაა. ეს კარგად ჩანს, როგორც აფხაზეთში, რუსების მხრიდან და ჩრდილო ქართლში ევროგაერთიანების მოღვაწეობის მხრივაც. მათი დაბრუნება მხოლოდ საქართველოს ინტერესებშია, არა ხელისუფლების, არამედ საქართველოში მცხოვრები ადამიანების ინტერესებში. შარშან და იმის წინ ლტოლვილებს კვებავდნენ, არა დღეს დაბრუნდებით, არა ხვალო. ახლა ამას არავინ დაიჯერებს. ლტოლვილები თანდათან ეჩვევიან არსებულ მდგომარეობას, ბავშვები ახალ ადგილზე იზრდებიან, ახალ მეგობრებს იძენენ. ვისაც თავისი ფუძე ახსოვდა, ბევრი აღარც აა ცოცხალი. ვინც მათი საკითხი უნდა გადაწყვიტოს, ის დუმს ან კონკრეტულად ვერაფერს პირდება მათ მიუხედავად დაქსაქსულობისა და ცხოვრებისეულ დუხჭირ ორომტრიალში ჩართვისა, ლტოლვილთა მასა მაინც საშიშია ხელისუფლებისათვის, მან შეიძლება იფეთქოს. პარლამენტში მიზანმიმართულად ხდება აფხაზეთის საკითხის იგნორირება და გაურკვეველი მომავლისთვის მასზე მსჯელობის გადადება. ეს იწვევს აფხაზეთის დეპუტაციის პროტესტს და ისინი მიმართავენ პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობას. ეს აქტი ხელისუფლებისათვის მომგებიანია, მაგრამ მოშიმშილე დეპუტატებმა არ უნდა დაიმკვიდრონ იმდენად დიდი ავტორიტეტი, რომ ისინი უმართავნი გახდნენ. ამისათვის გამოიყენება ყველა მეთოდი: დიდი ყურადღება სახელისუფლო სტრუქტურებიდან, თანადგომის გამოცხადება, შეფარული მუქარა და, რაც მთავარია, ჭორები, ჭორები, ჭორები, რომლებიც ეჭვს თესენ, როგორც მოშიმშილეებში, ასევე მოსახლეობაში. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეს აქცია არაერთგვაროვანი, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ერთიანობით ეწყობა და მიუხედავად ასეთი ერთობისა, განხეთქილების პროვოცირების ალბათობა დიდია. ბევრს აღარ გავაგრძელებ, პროტესტანტებმა პოტენციური ძალის ჩვენების შემდეგ აქცია შეწყვიტეს. თუმცა კი ითქვა, რომ იგი გრძელდება, მაგრამ სულ მალე, 3 აპრილს, ვიხილავთ, რომ ეს ცოტა ხმამაღლა ნათქვამია. აფხაზეთის საკითხი, ასეთი პოლიტიკით არც 3 აპრილს, არც 3 მაისს და არც მომავალი წლის 3 აპრილს გადაწყდება. უბრალოდ, ცოტა რადიკალური ფორმით გაბედეს და ხელისუფლებამ ორთქლი გამოაშვებინა როგორც ფრაქცია „აფხაზეთს", ასევე დევნილ მოსახლეობას. ხოლო ჩვენ ცოტა ხნით მოგვცა საკბილო, ერთმანეთს ჩვენი მოსაზრებები გავუზიაროთ

მანანა იაშვილი

# თალონები...

*ამ ერთი თვის წინ დიდი დიღომის მაცხოვრებელთა შორის ხმა გავარდა – თუ 20 ლარს აკრეფთ თითოეული მოსახლიდან, მთელი თვე შუქი შეუფერხებლად გექნებაო. თავის მხრივ, ტელეეკრანიდან შუქის „უფროსებიც" გვაიმედებდნენ, გადაიხადეთ და დენი აუცილებლად მოგეწოდებათო.*

*რომელ კორპუსშიც ფული აიკრიფა, რამდენიმე დღე შუქი მართლაც მუდმივად, დილიდან ღამის 12 საათამდე მიეწოდებოდათ. ხალხს იმედი გაუჩნდა. ზოგმა უკანასკნელი კაპიკებიც ამ საქმეში ჩადო, ზოგმა ნავთი გაყიდა, თუ შუქი მექნება, ნავთი რადად მჭირიაო და ის ოცი ლარი ისე გადაიხადა. მას შემდეგ დიდ დიღომს არათუ უგრაფიკოდ, გრაფიკითაც კი შეუწყვიტეს დენის მიწოდება.*

*ვინ აკრიფა თანხა, ვისთან მიიტანა, ვისთან არ მიიტანა, ახლა ამას ვიღაცეები არკვევენ, მოსახლეობა კი მოტყუებული და პირშიჩალაგამოვლებული დარჩა, ვიღაც-ვიღაცეებს კი დარჩათ ასი ათასები...*

*ამ ფაქტის გამო რედაქციაში გამწარებული ხალხის საჩივარი შემოვიდა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.*

## დაგვცინიან აშკარად და დაუფარავად

ღია წერილი თბილისის მერს ბატონ
**ბადრი შოშიტაიშვილს**
„თელასის" ხელმძღვანელობას
გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს ბატონ
**ნოდარ გრიგალაშვილს**

გაგვაგებინეთ ბოლოს და ბოლოს, როდის მოეღება ბოლო ჩვენს დამცირებას და აბუჩად აგდებას? რატომ შემოსწყრა „თელასი" დიდი დიღმის მოსახლეობას, რომ გრაფიკითაც აღარ აწოდებს შუქს, მოსახლეობის უმეტესობამ ხომ დაფარა დავალიანება, ახლა რაღა პირობა აქვს კიდევ შესასრულებელი. როდემდე ვითმინოთ ენით გამოუთქმელი სიცივე და შიმშილი, მოხუცებმა და ბავშვებმა რა დააშავეს, ასეთ დღეში რომ ჩააგდეთ. „თელასის" მუშაკებს ან დედები არა ჰყავთ, ან შვილები. ნუთუ გული არ ეწვით საქართველოსა და ქართველ ერზე – გაჭირვებულ, დაბეჩავებულ, უფულო, ფრთებმოკვეთილ ქართველ ხალხზე, გამათხოვრებულ, კარ-კარ მოსიარულე ქართველ დედებსა და დებზე, მეძავებად ქცეულ ერთ დროს პატიოსნების განსახიერებად მიჩნეულ ქართველ ქალებზე, ნარკომანებად, ყაჩაღებად გადაქცეულ ყმაწვილებზე, სამაჩაბლოდან, აფხაზეთიდან დევნილებზე. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ, რომ გული მოგილბოთ და კვლავ ჩვენსკენ შემოგაბრუნოთ. გადმოგვხედეთ ქართველ ერს მოწყალე თვალით, როგორ ერთბაშად ყველაფერი მოგვესპო: აღარც სამედიცინო დახმარება (სადა გვაქვს უბრალო მოკვდავებს იქ დასაწოლი გაზრდილი თანხები), აღარც სასწრაფო, აღარც სტომატოლოგიური (დავდივართ კბილებჩამტვრეულები და კბილებგამოხრულები), ტელეფონი ხომ, დარწმუნებული ვართ, არ გვეღირსება (ვის აქვს 400 ლარის გადახდის თავი, მხოლოდ რჩეულებს). მალე პურსაც გაგვიძვირებთ (ნეტავ როდემდე?), ამ შუქსაც გვამადლით. რამდენი დღეა, რაც შუქი დიდ დიღომს საერთოდ არა აქვს. ან ჭამა არ გვინდა, ან მუშაობა? იცით, რომ უმეტესობას ნავთის ფულიც კი აღარა აქვს, რომ საჭმელი მოიმზადოს და სული მოითქვას.

აი ახლაც, 20 მარტს, თერთმეტის ნახევარზე მოვიდა შუქი და ხუთ წუთში ჩაქრა, 23-სთ-სა და 30 წუთზე ისევ მოვიდა, რამდენიმე წუთში ისევ ჩაქრა...

ერთი სიტყვით, „კატა-თაგვობანას" გვეთამაშება „თელასი", დაგვცინიან აშკარად და დაუფარავად. თითქოს ნიშნს გვოგებენ, აი შუქი კი არის, ნახეთ, თანაც რა კაშკაშა და სასიამოვნოა, მაგრამ თქვენ, დიდდიღმელებო, მისი ღირსი არა ხართო. ჩაგვირთავენ, გამოგვირთავენ, და ბოლოს, საერთოდ, ჩაგვაბნელებენ. ერთი სიტყვით, სულში გვაფურთხებენ „თელასელები". განა 20 მარტი ამის დამადასტურებელი არ არის? დავიღალეთ, უკვე აღარ შეგვიძლია, ნერვები დაგვეძაბა, გული გადაგვეღალა, იმიტომ გახშირდა თვითმკვლელობები. ჩვენი ღია წერილის მიზანს სულაც არ შეადგენს „თელასის" კარგად გაწმენდის („მესაკუთრე" №21/35/14–18 მარტის) სურვილი, რადგან ვიცით, „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინს" და ისიც ვიცით, „ახალი ცოცხი კარგად გვის...", ჩვენი ერთადერთი სურვილია, აღვიდგინოთ გრაფიკი და მორჩეთ ჩვენს წამებას.

დიდი დიღმის
მოსახლეობის სახელით:
**ჯ.გორდაძე, ფორჩუა, სალარიშვილი, ლ. ბერუაშვილი, ლ. გოგინაშვილი, იასეშვილი, ... სულ ასზე მეტი ხელმოწერა**




მ. [illegible] ნახატი

## ტრანსკავკასიური დიალოგი გაგრძელდება

ტრანსკავკასიური დიალოგი ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის ფარგლებში გაგრძელდება. სააგენტო „ნოიან ტაპანის" კორესპონდენტს მთიანი ყარაბაღის კომიტეტის „ჰელსინკის ინიციატივა-92" კოორდინატორმა კარენ ოგანჯანიანმა განუცხადა, რომ ამ ორგანიზაციის ეროვნულ კომიტეტთა წარმომადგენლების შეხვედრაზე, ძირითადად, ტრანსკავკასიური დიალოგის პერსპექტივების საკითხი განიხილებოდა. ყარაბაღის კომიტეტს „ჰელსინკის ინიციატივა-92" და ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის აზერბაიჯანის კომიტეტს შორის 1996 წელს პრაღაში მომხდარი კონფლიქტი, რომელიც აზერბაიჯანის კომიტეტის კოორდინატორის საგაზეთო ინტერვიუმ გამოიწვია („ნოიან ტაპანის" ცნობით, მან ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის თბილისის კონფერენციის შედეგების ფალსიფიკაცია მოახდინა), უკვე მოგვარდა და მხარეები შემდგომი თანამშრომლობისათვის მზადყოფნას გამოთქვამენ. (ბი ჯი აი)

## პროცესი დროებითია

საქართველოს ეროვნული ბანკის ლიდერები აღნიშნავენ, რომ შიდა სავალუტო ბაზარზე შეინიშნება უცხოური ვალუტის, კერძოდ, აშშ $-ის შესყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის სხვაობის ზრდა. მათი თქმით, პროცესი დროებითია და იგი უკავშირდება ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ვალუტის გადამცვლელი ჯიხურების გაუქმებას. როგორც კი ვალუტის გადაცვლის კონიუნქტურა საბოლოოდ დაასრულებს ჩამოყალიბების სტადიას, შიდა სავალუტო ბაზარზე კვლავ დამყარდება პირვანდელი მდგომარეობა.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მიმდინარე კვირის ბრუნვამ 947000 აშშ $ შეადგინა. კომერციული ბანკების მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე მთლიანად ეროვნულმა ბანკმა დააკმაყოფილა. თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე დაფიქსირებული ოფიციალური კურსი კვირის განმავლობაში ორჯერ შეიცვალა და კვირის ბოლოს 1 აშშ $ 1.291 ლარის მაჩვენებელზე დაფიქსირდა. (იფრინდა)

## XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი

## „სოლომან მორბელაძე“

### განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

### ბედნიერება-უბედურებას შორის არჩევანის უფლებანართმეული ადამიანი

სოლომან მორბელაძე, დავით კლდიაშვილის სხვა გმირების მსგავსად, ტრაგიკული კაცია. არადა, ნაწარმოების სიუჟეტი რომ სქემატურად გადმოსცეს კაცმა, გაგეცინებათ, რა ტრაგიკული ამბავი აქ არის მოთხრობილიო – იფიქრებთ.

როგორც წესი, ტრაგედიის კლასიკურ სიუჟეტში ხომ დიდი, ამაღლებული ვნებები ბობოქრობს და მთავარი გმირები ან თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს, ან თვალების დათხრით, ან სხვა უღებს მათ ბოლოს. ვინც ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს კლასიკურ სიუჟეტებზე აგებულ ტრაგედიებს წაიკითხავს, სწორედაც ეჭვი გაუჩნდება, ოიდიპოსის, ორესტეს, ელექტრას ტრაგედიასთან ამ ჩვენი სოლომანის უბედურება რა მოსატანიაო. ან რაღა შორს წავიდეთ, გაიხსენეთ, რა ამაღლებული განცდები იქცა ვაჟაფშაველას ალუდა ქეთელაურის ტრაგედიის საფუძვლად.

მაინც როგორ პერსონაჟს შეიძლება ვუწოდოთ ტრაგიკული და როგორ სიუჟეტს ტრაგედია? განა შეიძლება ყველა გმირს, რომელსაც ფათერაკი და, გნებავთ, უბედურება გადახდება თავს, ტრაგიკული პერსონაჟი დავარქვათ? ცხადია, არ შეიძლება.

უბედურსა და ტრაგიკულ პერსონაჟს შორის განსხვავება ის არის, რომ, თუ პირველს უბედურება შეიძლებოდა თავიდანაც აეცილებინა, ან თუ პირველს შემთხვევით დაატყდა თავს ფარსაგი ამბავი, მეორე, თუ შეიძლება ასე ითქვას, კანონზომიერადაა განწირული, ანუ მეორეს, არჩევანის უფლება ბედნიერება–უბედურებას შორის არ გააჩნია.

უფრო კონკრეტულად, ვთქვათ, დათიკო (ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიდან“) უბედური კაცია და არა ტრაგიკული, ვინაიდან, რომ გამოეჩინა ელემენტარული კეთილგონიერება და ცხოველურ ჟინს აყოლილს ფეხქვეშ არ გაეთელა სხვათა ღირსება, სიცოცხლეს ძუძუმტის ტყვიით არ დაასრულებდა.

ტრაგიკულ პერსონაჟს კი, როგორც ვთქვით, არჩევანის უფლება არ გააჩნია.

ოიდიპოს მეფე წერამწერლის მიერ წინასწარ განსაზღვრული განაჩენით, უნებლიედ მამის მკვლელი და დედის სარეცელის მოზიარე აღმოჩნდება. ამ ამბის შეტყობის შემდეგ თებელთა მეფეს ბედნიერება–უბედურებას შორის არჩევნის უფლება აღარ რჩება. არჩევანი მხოლოდ ორ უბედურებას შორის აქვს – თავლაფდასხმულ, უბედურ სიცოცხლესა და სიკვდილს შორის და იგი თვალებს ითხრის, რათა დაიბნელოს მისთვის დედინაცვლად ქცეული სამზეო.

არც ალუდა ქეთელაურს აქვს დატოვებული არჩევანის უფლება – თუ თემს დაემორჩილება, საკუთარ თავს ზნეობრივ აუტოდაფეს მოუწყობს, ხოლო თუ უერთგულებს სინდისის ხმას, თემისაგან იქნება მოკვეთილი და ოჯახიანად სოფლიდან ოტებული. ალუდას არჩევანიც ორ უბედურებას შორისაა გახიდული – ან ზნეობრივი სიკვდილი, ან ფიზიკური და იგი ამ უკანასკნელს ირჩევს:

„ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა“...

სოლომან მორბელაძეც ტრაგიკული გმირია. კლდიაშვილის პერსონაჟებსაც არ გააჩნიათ არჩევანის უფლება ბედნიერება–უბედურებას შორის, მაგრამ ამ თვალსაზრისითაც დავითის სამყაროში ყველაფერი თავდაყირა დგას, არსით, ყველაფერი ისეა, როგორც კლასიკურ ტრაგედიებში: ცხოვრების გზაჯვარედინზე დგას ადამიანი და არ აქვს გზის არჩევის უფლება, ვინაიდან ყველა გზა უბედურებისაკენ მიდის, უფრო სწორად, ერთადერთი უფლება აქვს შერჩენილი, რომელი აირჩიოს ფიზიკურსა და ზნეობრივ სიკვდილს შორის.

ვიმეორებ, არსით ასეთივე რამ ხდება კლდიაშვილის სინამდვილეშიც. აქ გმირებს გამოსავალი ვერ უპოვნიათ, ან შიმშილით დაცემა, ან ზნეობრივი წახდომაა მათი ხვედრი, რათა პირველს ასცდნენ.

მაგრამ კლდიაშვილის პერსონაჟების ტრაგედია თუ არსით – არჩევანის არარსებობა ბედნიერება–უბედურებას შორის – ჰგავს კლასიკურ ტრაგედიათა პროტაგონისტებისას, იმავდროულად ეს არსი ახალ დროში კარიკატურულ სახეს იძენს. თუ იქ ვაჟასთან, ესქილესთან დიდი ვნებები ბობოქრობს, აქ დავითის სამყაროში, ტრაგიკული გმირია მაშვალი, რომელსაც თავის სამაშვლო საქმეში კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. სასაცილო და სატირალი კი ის არის, რომ კლდიაშვილის გმირები, მიუხედავად თავიანთი ფიქრების, მიზნების, ოცნებების სიპატარავისა, მიუხედავად არათუ ჰეროიკული, არამედ ძალიან ყოფითი, წვრილმანი თავგადასავლებისა, სულაც არ არიან ნაკლებ ტრაგიკულნი, ნაკლებ ფიქრაწეწილნი, ვიდრე ზემოთნახსენები ტრაგედიების პერსონაჟები, რადგან ცალკეული ადამიანის ტრაგედიის ხარისხი იმით კი არ გაიზომება, ამაღლებულია თუ დამდაბლებული თვით მიზეზი ტრაგედიისა, არამედ იმით, თუ რა დღეშია თვით ადამიანი. ჩვენ რა დიდ სხვაობასაც არ უნდა ვხედავდეთ, ვთქვათ, ალუდა ქეთელაურის თემიდან მოკვეთის მიზეზსა და იმ როყიოდ ნათქვამ ფრაზას შორის, რაც შვილმა უთხრა თავსაფრიან დედაკაცს ერთი წყვილი წინდის გამო – „შეგენანა განა?“ ამით თვით ამ ორი ადამიანის სულიერი ღელვის ხარისხი არ იცვლება.

კლდიაშვილის გმირებისთვის იმ წვრილმანი გეგმებით, რომელთა აღსასრულებლადაც დაჩაქჩაქებენ სოფელ–ქვეყანაში, მათი ყოფნა–არყოფნის საკითხი წყდება. ამიტომ ამ შეჩვენებული სოლომან მაშვალის გაცუცურაკებას, თავად რომ სამყაროს დაქცევად აღიქვამს, ტკივილიანი თანაგანცდით ხვდება მკითხველიც.

რამდენიმე წინადადებით გადმოვცეთ „სოლომან მორბელაძის“ ფაბულა.

ნაწარმოები იწყება იმით, რომ სოლომანის ოჯახს მოხუცი, გაძვალტყავებული აზნაური მისდგომია და ლამის ყელგამოწეული ევედრება ვალს, რომელიც მისი მართებთ.

სოლომანი პირობას მისცემს მევალეს, რომ სამაშვლო საქმის ჩამთავრების შემდეგ, საიდანაც სამოცი თუმანი ერგება, მოვალეს გაისტუმრებს.

ამ საქმის მოკვარახჭინებაზეა დამოკიდებული თავის მხრივ გაბეზრებული და სოლომანისათვის მომაბეზრებელი მოვალის მოშორებაც და თვით სოლომანის ოჯახის მომავალი არსებობაც, რაკი ამ უკანასკნელს სხვა არავითარი სახსარი არ გააჩნია.

სოლომანი თავს არ იზოგავს, დაწანწალებს მომავალ მოყვრებს შორის, რათა დროულად შერთოს ბესარიონ საქარაძის მშვენიერი ასული ელპიტე ქაიხოსრო ქათამაძის ვაჟს ნიკოიას და ამ გარიგებიდან ერთსაც დასცინცლოს სამაშვლო და მეორესაც.

ახალგაზრდები კი გააბედნიერა აზნაურმა მორბელაძემ (გვარიც მაშვლის, შუაკაცის, სოფელ-სოფელ მორბენალი კაცის კვალობაზე აქვს მწერალს შერჩეული), მაგრამ თავის გაჭირვებას ვერაფერი უშველა.

ხრიკებსა და მშრალზე დატოვებაში უცადნი არც მისგან შეგულებული „გაფცქვნის“ ობიექტები აღმოჩნდნენ. ბესარიონმაც ჩაილურის წყალი დაალევინა შუაკაცის ოცნებას და ქაიხოსრომაც.

ქორწილის მხიარული სუფრიდან გამოქცეული, გაწიწმატებული სოლომანი მოაჯდა ჯორს და სულ ჭენებჭენებით მოარბენინებდა ოღრო–ჩოღრო გზებზე საწყალ პირუტყვს შავ ფიქრებში წასული: „ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა! – თავისთვის ლაპარაკობდა სასოწარკვეთილებაში მყოფი უილბლო მაშვალი. – მშიერ, გაღატაკებულ კაცს რავა უნდა ენდო კაცი?! პატიოსნებაც დავიწყებული აქვს და სვინდისიც. ცოდვათაც აღარ მიაჩნია, თუკი რამე წაგლიტა, წაგაფცქვნა, მოგატყუა, გაგაცუცურაკა! ყველაფერი დავიწყებული აქვს ამ ოხერი გაფშიკებული კუჭის გამოისობით... დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშველო, გაძაღლებული ცხოვრება! რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ აღარ აქვთ? ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს... ღმერთო, ღმერთო! – სასოწარკვეთილებით წამოიძახა უკანასკნელი სიტყვები საბრალო სოლომანმა და მისი გული თითქმის სიბრალულით აივსო ყოველი ღვთის გაჩენილისა და დაჩაგრულისადმი; ამათ რიცხვში, რასაკვირველია, თავის ჯორისადმიც, რომელიც თურმე ბევრს ვერაფერს სიამოვნებას ხედავდა ღარიბი პატრონის ხელში, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი მორჩილი, ერთგული მოსამსახურე, ხანდახან ამხანაგიც იყო და რომელიც აგერ ახლაც თავდაუზოგველად მიაქროლებდა სახლისკენ თავის ნაღვლიანს, შავ–უკუღმა ფიქრებში წასულ ბატონსა“.

დავიმახსოვროთ სურათი ერთგული ჯორისა და მისი აღელვებული ბატონის დუეტისა. ამასთან პირველთქმულს დავუბრუნდეთ.

რაში გამოიხატება სოლომანისა და თხზულების სხვა პერსონაჟების ტრაგედია?

მოხუცი პლატონი, რომლის ვალიც სოლომანს მართებს და ურომლისოდაც შვილს სასწავლებლიდან გამოურიცხავენ, იძულებულია ან ეხვეწოს სოლომანს, ვალი დამიბრუნეო, ან სამართალს მიმართოს და ძალით წაართვას მიცემული. არც მუდარით გამოსდის არაფერი კუდის რიკამდე გატყავებულ აზნაურს მორბელაძესთან და „სამართალშიც“ უფრო მეტს წაართმევენ და გააწამებენ, როგორც ამას სოლომანი იქადნება.

რა გზას დაადგეს პლატონი?

ბესარიონ საქარაძემ ან უნდა ითაღლითოს და ატყუოს მაშვალიცა და მოყვარეც, ანუ ან სული უნდა წაიწყმიდოს ყოველდღიური ტყუილებით და სხვაც გაამწაროს, ან მშვენიერი ელპიტე უნდა დაიტოვოს სახლში შინაბერად.

სოლომან მორბელაძემ კი უნდა აბითუროს ყველა: მოვალეც, სიძის ოჯახიც, საპატარძლოს სახლეულიც და ამით ორიოდ გროში იშოვოს, ან ამ ამბებზე უნდა აიღოს ხელი და დაელოდოს მამაზეციერს, როდის ამოხდის შიმშილით სულს, თუ იმედგადაწურული მოვალე როდის მოუღებს ბოლოს.

ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი ტრაგედიების დარად, არჩევანის უფლება კლდიაშვილის გმირებსაც მხოლოდ ორ უბედურებას შორის აქვთ, იმ განსხვავებით, რომ ისინი იმავდროულად სასაცილონი არიან პატარა ამბების გამო გამოწვეული დიდი სულიერი ღელვისა და იმ თავგადასავლების გამო, რომელსაც, როგორც წესი, უშედეგოდ ირჩევენ მდგომარეობიდან თავდასაღწევად. ამასთან, როგორც წესი, ტრაგედიის კლასიკურ გმირთაგან განსხვავებით, ყოველთვის არჩევანის იოლ გზას მიმართავენ. ეს ტრაგიკომიკურობა, ცხოვრებისაგან შემოთავაზებული გროტესკი მაღალი ადამიანური ვნებებისა ყველაზე ლაკონურად კაცისა და ჯორის დუეტის იმ სურათშია გამოხატული, რომელზედაც ზემოთ შევაჩერეთ თქვენი ყურადღება.

ერთგული ჯორი „თავდაუზოგველად მიაქროლებდა სახლისკენ თავის ნაღვლიანს, შავ–უკუღმა ფიქრებში წასულ ბატონსა“.

ეს ფინალია თხზულებისა. სხვაგანაც გვხვდება ნაწარმოებში ამგვარი პასაჟი. მღელვარე ფიქრებით შეპყრობილი სოლომანი გადამჯდარა ჯორზე, რომელიც „გაფრინდა, რაც ღონე ჰქონდა, და თან თავისი აღელვებული მხედარიც გაიტაცა“.

არ შეიძლება ამ სურათმა და ამ ლექსიკამ „გაფრინდა“, „აღელვებული მხედარი“, „თავდაუზოგავად მიაქროლებდა“, „ნაღვლიანი, შავ–უკუღმა ფიქრები“ რემინისცენცია არ აღძრას იმ ნამდვილი მხედრისა, ნამდვილ მერანზე ამხედრებული, შავად მღელვარე ფიქრით, სახლისკენ კი არა, სახლიდან რომ მიჰქრის შავ ბედთან საბრძოლველად.

ახლა წარმოვიდგინოთ, როგორია კონტრასტი მერანით მიმქროლ, მაღალი იდეალებით ანთებულ, შავ ბედთან მებრძოლ ბარათაშვილისეული ოცნების მხედარსა და ჯორით სახლისაკენ გაქცეულ, ასევე ბედთან მებრძოლ, მაშვლად ქცეულ აზნაურს შორის.

ასე რომ, დავით კლდიაშვილმა, თუკი ეს რემინისცენცია სხვისთვისაც გასაზიარებელია, თავისი გენიალური კალმით ვიზუალურადაც შეუდარებლად წარმოგვიჩინა ახალი დროის კნინობითი და ერთდროულად ტრაგი–კომიკური ყოფა.

გაგრძელება იქნება

## რა შედეგი შეიძლება იქონიოს დენთის საწყობთან თამბაქოს წევამ

კომუნისტური იმპერიის უკანასკნელი იმპერატორის მიხეილის შესახებ, რომელიც განათლებით იურისტი და აგრონომი გახლდათ, უბრალო ხალხში ასეთი ხუმრობა დადიოდა – იცის, როგორ დათესოს (как сажать) და რისთვის ჩასვას (за что сажать).

მიხეილს ჩვეულებრივი პარტიული წარსული ჰქონდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ბავშვობაში მას საათობით უხდებოდა ქათმების და ბატების პუტვა გერმანელ ოკუპანტთა კუჭების დასაძღობად. ახალგაზრდობაში, პრაქტიკაზე ყოფნისას, რაიონული პროკურატურის ბლანკებზე სწერდა ძვირფას საცოლეს გულისამაჩუყებელ წერილებს, ხოლო მოწიფულობის ჟამს, საკურორტო მხარის პატრონის ფრიად საპასუხისმგებლო პოსტზე ყოფნისას, ისე მყარად ჩაეფლო სახელმწიფოს ხარჯზე შეხვედრა-გაცილებების და საჩუქრების ორგანიზება-მიღებაში, რომ მისმა საქციელმა პატიოსან მოქალაქეთა გულისწყრომა და „მოსკოვში სიგნალების“ გაგზავნა გამოიწვია.

ასე რომ, პირველ ხანებში, უკანასკნელი იმპერატორის ერთადერთ მაკომპრომეტირებელ მასალას მისი მეუღლე რაისა მაქსიმოვნა წარმოადგენდა, რომელიც ყველას აღიზიანებდა როგორც ცოცხალ ურთიერთობაში, ასევე ტელევიზიის საშუალებითაც. მართალია, სულ რამოდენიმე წლის შემდეგ ხალხისათვის გაცილებით საძულველი თვით მიხეილ სერგის ძე გახდა, მაგრამ ეს სულ სხვა ლაპარაკის თემა გახლავთ.

ყველაფერს, რაც მოესურვებოდა, გორბაჩოვი არა მალულად, მეფურად იღებდა: თავისუფლად ფლანგავდა პარტიულ ფულებს „წარმომადგენლობითი ხარჯების“ გრაფის ქვეშ. მოინდომა და რაისა მაქსიმოვნასთვის ვეებერთელა „სამილიონებო“ თანხები დაანიშვნინა, (ამ ფულით, როგორც ხალხი ამბობს, იმპერატრიცა ბრილიანტებს იძენდა) ბევრს და დიდი სიამოვნებით აშენებდა. პირველად საბჭოთა მეფეთა შორის მოითხოვა ცალკე სახლი კოსიგინის ქუჩაზე (რათა ფანჯრიდან უნივერსიტეტის ხედისათვის ეცქირა, რომელიც ეგრერიგად ტკბილ ახალგაზრდობის წლებს აგონებდა) მისი სამშენებლო საქმიანობის აპოთეოზად იქცა დასასვენებელი სახლი ფოროსში, რომელიც საბჭოთა კავშირს მილიარდ დოლარზე სულ ცოტათი მეტი დაუჯდა. მართალია, ამ ფულით გათვალისწინებული იყო ოფიცერთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, მაგრამ კარგად თუ ჩაუღრმავდებით, მიხეილ სერგის ძეც ხომ სადღაც თადარიგის ოფიცერი გახლდათ. მოკლედ რადგან ეს ყველაფერი მალულად არ კეთდებოდა, იმპერატორის კომპრომეტაციაც არ შეეძლო, გარკვეულ დრომდე რასაკვირველია.

უკანასკნელი მეფობის შედეგები ცნობილია: მეტი თავისუფლება, დანგრეული იმპერია, რომელმაც ხუთი წლის მანძილზე ზესახელმწიფოდან სანაგვე ორმოს რაიონამდე გზა გაიარა, ათეულ ათასობით მოკლული, მილიონობით ლტოლვილი, ყოველივე ეს აზრს უკარგავს გორჩაბოვის ნააზრევს. ეხლა რაღა მნიშვნელობა აქვს, მას რა უნდოდა, რომ გაეკეთებინა.

ანდროპოვმა გააძლო და დააშინა ბრბო, გორბაჩოვის ხელში აღმოჩნდა რუსული აბსოლუტიზმის მთელი საშინელი ძალაუფლება, დამჯერე და ერთგული ერი, წინა მეფეების მიერ დაწყებული საქმის გაგრძელების შესაძლებლობა: მიეცი ხალხს ოდნავ მეტი თავისუფლება, ხელისუფლებას ცოტათი უფრო ადამიანური სახე, გლეხებს და საწარმოებს მეტი დამოუკიდებლობა და ნელ-ნელა გამოაძევე ცნობიერებიდან,

## ხიდმა შექმნა ელცინი როგორც პრეზიდენტი





ეკონომიკიდან „სოციალისტური გადმონაშთები“. – ეს ყველაფერი მას შეეძლო გაეკეთებინა ვინმესთან თანხმობის გარეშე. იგი ხომ რუსი მეფე იყო! გორბაჩოვს არ შეეძლო თავისი თავისათვის მხოლოდ ერთი რამის უფლება მიეცა: კომპრომეტირება გაეკეთებინა კრემლისათვის. იმიტომ, რომ ანდროპოვმა უკვე მოახდინა „კომპრომატის“ იმ უსაფრთხო რაოდენობით „გადმოგდება“, რომელიც იმპერიის საფუძველს, რომელსაც „ერთობა“ ერქვა, არაფრით არ ემუქრებოდა.

გორბაჩოვი კი უაზროდ ეცა კომპრომატს და ამით დაარღვია საბჭოთა კომპრომატის მუშაობის ძირითადი კანონი: დაიწყო თავადთა და ბოიართა „მორალური დაცემისათვის“ „ჩაძირვის“ პერიოდი. ჩაიარა „სავაჭრო საქმემ“, ამას დაემატა მშენებლობებში მიწერები, უკვე შეირყა მოსკოველი თავადის გრიშინის სკამი. მიხეილი კი ზეიმობდა: „შეშფოთდა?.. საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ“. გორბაჩოვის კაბინეტიდან გრიშინი უკვე პენსიონერი გამოვიდა, შერცხვენილი და თავლაფდასხმული კუბოს ფიცრამდე – თითქოს სოციალიზმს შეეძლო ეარსება მიწერებისა და „იქნების“ გარეშე.

და აღსდგა ბრბო, წვიმასავით წამოვიდა მაკომპრომეტირებელი მასალებით სავსე წერილები ასე თუ ისე ცნობილ თითქმის ყოველ პარტიულ თავადზე: ამ ამბავის ბოლომდე მიყვანაში გორბაჩოვს ხელს სუკის ყოფილი თავმჯდომარე ჩებრიკოვი უშლიდა – სასწრაფოდ შეგროვილ იქნა „კომპრომატი“ და სუკის „შეფი“ პენსიის გასაფორმებლად საფინანსო ნაწილში გაემართა. სახელმწიფოში „საქმე“ „საქმეზე“ სკდებოდა. ხალხმა ანდროპოვისეული ვითომ „წმენდების“ მაგივრად თავისი მქუხარე აზრის ძალაუფლება დაინახა, რომელიც შეცდომით თავისუფლებად აღიქვა. აი აქ კი პარტიამ აღმოაჩინა, რომ ამ აზრის მართვა მას აღარ შეუძლია. სტალინური „პარაგრაფის“ მოწყობილობაში ასეთი მექანიზმი გათვალისწინებული არ ყოფილა. საჭიროებამ მოითხოვა დასავლეთის პოლიტიკური გამოცდილების გადმოღება, მაგრამ გორბაჩოვის რაზმი დარწმუნებული გახლდათ, რომ დასავლეთი ეს ზეციური სამოთხეა, სადაც უნდა ჩახვიდე და იქაურ ბურჟუებს მადლობის ცრემლები სწმინდო, რაც შეეხება მათგან ჭუჭყიანი თეთრეულის გადმოფენის პროცესების მართვის და „ტვინების კომპოსტირების“ სწავლას – ეს არასოდეს არ მოხდება.

უბედური პარტიული თავადები, ჩამოგდებულები „ზემოდან“ და ნელ ცეცხლზე შესაწველად გამზადებულები ქვემოდან, ყოველგვარი ადამიანური თანაგრძნობის გარეშე „იკიდებოდნენ“ კაუჭზე გორბაჩოვის მთავარი „მწმენდავის“ ეგორ ლიგაჩოვის მიერ. დიახ, მეგობრებო, ამიტომაც არის სამართლიანი მისი მომავალი ტანჯვა-წამებანი.

ლიგაჩოვის დროს შემდეგი წესით ხდებოდა წმენდა: ოლქში, რაიონში, სადაც მთავრობდა ხავსში და სიბერეში ჩაძირული უბედური მსხვერპლი, რაიმე უბრალო საკითხის შესასწავლად იგზავნებოდა კომისია. ლიგაჩოვის „ოპრიჩნიკები“ იწყებდნენ თხრას ერთი მიმართულებით. „სამდივნოზე“ რაიონში შექმნილი სიტუაცია იხილებოდა მთელი სიმკაცრით, თავადს ეუბნებოდნენ: დიახ, ამხანაგო, აქ რაღაც... – ისე არ არის... ამით ლაპარაკი მთავრდებოდა. დგებოდა ძრწოლის დღეები, კვირები, თვეები. ამხანაგი „ეკიდა“. ძრწოლისა და შიშის ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევის ორი გზა არსებობდა: განცხადება წასვლის თაობაზე ან ლიგაჩოვისთვის ახლობელ და საყვარელ პიროვნებად გახდომა. მაგალითად, მისი ამოთრევა ყინულის ნაპრალიდან, როდესაც იგი იხრჩობა, საკუთარი ტანით მისი დაფარვა, როდესაც მას დამპალ პომიდორს ესვრიან ან...

ზუსტად ამ დროს ხდება სასწაული 1987 წლის ოქტომბრის ცენტრალური კომიტეტის ჩვეულებრივ პლენუმზე. მეფე მიხეილმა ნახევარსაათიანი კომენტარი გაუკეთა თავის მოხსენებას ოქტომბრის 70 წლისთავთან დაკავშირებით. დარბაზში სრული სიჩუმეა, რა არის საკამათო, როდესაც ისედაც ყველაფერი ნათელია, „ჩამოკიდულნი“ სევდიანი თვალებით შეჰყურებენ ტრიბუნაზე მდგარ იმპერატორს. მოულოდნელად სიტყვას იღებს მოსკოველი თავადი ბორის ელცინი და რაღაც უთავბოლო სიტყვას კითხულობს: გარდაქმნის დრო დადგა, იქნებ ჩემი განთავისუფლებაა საჭირო, რაღაც ჩვენი „სამდივნო“ ისე ველარ მუშაობს, ლიგაჩოვი რაღაცას იქ ისე არ... და დაჯდა.

სამარისებულ სიჩუმეში ათობით „ჩამოკიდულთა“ თავში ელვასავით გაიელვა ერთიდაიმავე აზრმა. აი, აი ჩვენი ხსნის ერთადერთი გზა და... ტრიბუნასთან რიგი დადგა. ვერავინ ბორისის სიტყვიდან ვერაფერი გაიგო (რასაკვირველია) იმის გარდა, რომ „ეგორს ურტყამენ“.

ერთი შეხედვით წყნარი პლენუმი ხორცკომბინატის საკლავ ცეხად გადაიქცა. ტრიბუნიდან საშინელი სიტყვების მდინარე მოედინებოდა. თითოეული „ჩამოკიდული“ ცდილობდა რაც შეიძლება მეტად დამახსოვრებოდა იმპერატორს, მიეყენებინა ბოლო, სასიკვდილო დარტყმა ბორისისათვის და სულ უფრო მეტად საშიშ „აზრებს“ პოულობდა ელცინის გამოსვლაში. დაწყებული აზრის მქონე: „თვითონ თუ ყოფილხარ ოდესმე სამდივნოზე? არა? აბა რაღას და ვიღას აკრიტიკებ შე საზიზღარო“-თი – განკულაკებამ ისეთი საშინელი მიმართულება მიიღო, რომ ზოგიერთ ჯანსაღადმოაზროვნე პლენუმის მონაწილეს მოეჩვენა – სხდომას ეხლავე შეწყვეტენ და ელცინს აქვე ფანჯრებქვეშ დახვრეტენ, ან შუაზე გაგლეჯენ არყის ხეების საშუალებით, მაგრამ ესეც ცოტა იქნება მისთვის.

ელცინისაგან სველი ადგილიღა რჩებოდა და ეს სველი ადგილი [illegible] ნეულად [illegible] რატომ? რისთვის? რა ვთქვი ასეთი? მოსკოველი თავადის ცნობიერებაში ვერ ეტეოდა: რატომ კლავენ ასე ძმურად და მომზადებულად, როცა გამოსვლიდან ერთი წუთით ადრე თვითონაც კი არ იცოდა, რომ „ცხვირს გამოყოფდა“.

აი ამგვარად აფეთქდა კომპრომატი! ასეთი შედეგი მოიტანა გორბაჩოვის უხეშობამ. აი რასთან მიგვიყვანა შემდგომში ამ ფაქტმა... ასეთი რამე იმპერიის ისტორიაში არ ყოფილა, კომპრომატმა შექმნა სახალხო გმირი!

დიახ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, საკვირველი რამ არის დრო. ყველაფერს ერევა. ახლა რომ ეკითხებიან ელცინის ოჯახს, რომელი დრო იყო თქვენთვის ყველაზე მძიმე? – ოჯახი პასუხობს: ოქტომბრის პლენუმის შემდგომი პერიოდი. სულელ უცხოელს ასეთი აზრი შეიძლება სასაცილოდ და პრეზიდენტის ოჯახისათვის სასირცხვილოდ მოეჩვენოს. ერთი შეხედეთ: დაემხო პარტია, რომელსაც მთელი სიცოცხლე შეეწირეთ, დაინგრა იმპერია, ასორმოცდაათამდე მოქალაქე ჩავიდა საფლავში, როდესაც პრეზიდენტი პარლამენტს ამარცხებდა კონსტიტუციურ კამათში, ყველა მეგობარი და თანამოაზრე გამყიდველი აღმოჩნდა, წელიწადნახევარი ათასობით ადამიანს იწირავდა ჩეჩნეთი და ყველაზე მძიმე პერიოდად რჩება „ოქტომბრის პლენუმის შემდგომი პერიოდი“!!! რა მოხდა მაინც ამ ოქტომბრის პლენუმზე და შემდეგ? გაგლანძღეს და გადაგიყვანეს მინისტრის მოადგილედ, რა სენტიმენტალობაა!

მაგრამ საკითხის ასე დაყენება ალბათ მაინც უსამართლობა იქნებოდა. ჩვენ უკვე მოვასწარით დაგვეიწყებინა, რაოდენ მძიმე იყო სახელმწიფოებრივი „კომპრომატი“, რა საშინელება იყო კომუნისტური (სტალინური) ორთქმავლიდან ჩამოგდება, უკან დაბრუნების ყოველგვარი იმედის გარეშე: ჯერ კიდევ არცთუ მოხუცმა, ძალებით აღსავსე კაცმა (მუჟიკმა) მტკიცედ იცოდა – მას არასდროს არსად აღარ გაუშვებენ (ასე იცოდა ყველამ და ასე იცოდა მანაც) – ყველაფერი, რაც დარჩება მისგან, ეს იქნება პატარა აბზაცი „პარტისტორიის“ სახელმძღვანელოდან, რომელსაც განუწყვეტლივ აბრუნებენ სტუდენტები მარქიზმ-ლენინიზმის გამოცდებზე „ანტიპარტიულ ჯგუფთან“, „რევიზიონისტებთან“ და „ოპორტუნისტებთან“ ერთად. ვერც შვილები და შვილთაშვილები ჩამოირეცხავენ ამ სამარცხვინო ლაქას –პარტია არ დაივიწყებს. ეს ესმოდა ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის გამგეს, როდესაც 1991 წლის აგვისტოში ფანჯრიდან ხტებოდა. ეს თქვენ ჩეჩნეთი არ გეგონოთ: იომეთ? გაძეხით? ჰოდა ეხლა შერიგდით.

გორბაჩოვი ვერ გრძნობდა ახალი დროების ნიავქარს და ამიტომაც წინათ პარტიის მიერ უკაცრიელ კუნძულებზე გადასახლებულებზე (მოლოტოვი, კაგანოვიჩი და ა.შ.) ღრმად არ დაუმარხავს ელცინი. ახლადამოვსებულ საფლავზე შემდეგი შინაარსის ქვალორლი დაიყარა: ელცინი ატარებდა უსაფუძვლო წმენდებს რაიკომებსა და ქალაქკომებში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, არაადამიანურად ექცეოდა მოქალაქეებს. (უთითებდნენ კონკრეტული თვითმკვლელობების ფაქტებს „წმენდების“ შემდეგ), ხვდებოდა „პამიატის“ აქტივისტებს და ა.შ. ელცინიც ვერ გრძნობდა თავიდან ახალი დროების დასაწყისს, სცადა თავის მოკვლა მაკრატლით, ნახევრადმკვდარი საავადმყოფოში კოკისპირული ცრემლების ღვრის შემდეგ მოსთქვამდა: „მე პატიოსან პარტიულ სიტყვას ვიძლევი, არავითარი ფარული აზრი და პოლიტიკური მიმართულება ჩემს გამოსვლაში არ ყოფილა“.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება კერძო, მშენებარე სახლი ეზოთი. ფართობი 12X12-ზე სამი სართული გადახურვის გარეშე. ეზო 500 კვ.მ საკონტაქტო ტელ. 99-94-31 ფასი შეთანხმებით.

იყიდება ლესელიძის 55-ში ორ სართულიანი სახლის II სართულზე ოთხ ოთახიანი იზოლირებული სუფთა ბინა დიდი ჰოლით, რკინის კარებით, ფანჯრებზე გისოსებით, აივნით სველი წერტილები კაფელშია. აქვს პატარა სარდაფი და მანქანის სადგომი. ბინა ტელეფონიანია. გამოდგება ოფისისათვისაც. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ ნებისმიერ დროს ტელ. 93-19-38 ან 72-27-36 დალი, მანანა

სასწრაფოდ იყიდება ვაკეში ტტაბიძეზე კერძო ბინა. საერთო ფართი 215 კვ.მ, საცხოვრებელი ფართი 120 კვ.მ, ეზოს ფართობი 1500 კვ.მ, ფასი შეთანხმებით ტელ. 29-21-75; 29-09-37

იყიდება 4 ოთახიანი არასტანდარტული ბინა საერთო ფართით 220 კვ.მ, საბურთალოს ცენტრში, რემონტით, სარდაფით, ტელეფონით და მანქანის სადგომით, ტელ. 37-77-50

იყიდება 2 ოთახიანი ბინა გადაკეთებული სამად თემქის III მ/რ-ნი რემონტით, III სართულზე. ფასი 7000 დოლარი. ტელ. 99-43-98

იყიდება ერთსართულიანი კერძო სახლი, ეზოში რამოდენიმე ოთახით, დიდი ხეხილის ბაღით. საერთო ფართი 700 კვ.მ, წყალი და ელექტროენერგია მუდმივად. საწყისი ფასი 35000 დოლარი. ტელ. 74-45-87

იყიდება 4,5 ოთახიანი ბინა, გადაკეთებული 3,5, უახლესი ევროპული სტანდარტების რემონტით, ფართე აივნით, ოვალური ჰოლით, კარადებით და სხვა სათავსოებით, ტელეფონით, ავტოსადგომით. 9 სართულიანი სახლის მე-5 სართულზე, მეტროსთან ახლოს. ფასი შეთანხმებით მის. გლდანის I მ/რ; მე-3 კორპ. ტელ. 93-57-18 20 საათამდე, საღამოს 23-21-72 დათო

იყიდება 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა, იტალიური სტილის ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე. ოთახების ფართი 60 კვ.მ, მაღალი ჭერით, წინამძღვრიშვილის 182. დეზერტირების ბაზართან. ფასი 25000 დოლარი ტელ. 34-30-71

იყიდება სამსართულიანი სამხატვრო სახელოსნო, გამრეკელის ქუჩაზე, აუზით და ბუხრით, ნახევრად გარემონტებული. ფასი 80000 დოლარი. ტელ. 95-32-30 დათო.

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ნუცუბიძის III მ/რ IV კვ. II კორპ. 18 სართულიანის მე-16 სართულზე. ტელეფონით, ორი ლოჯით. ფასი 9000 დოლარი ტელ. 98-74-77

იყიდება საკუთარი ეზოიანი ერთსართულიანი სახლი მეტრო „ისანთან". დოდაშვილის ქ. №34-ში. იკითხეთ ვალიკო, მალხაზი. ფასი შეთანხმებით

## სხვადასხვა

შევიძენ „ოპელ" რეკორდის ნახმარ რადიატორს. ტელ. 31-44-62 მიშა

სასწრაფოდ იყიდება თეთრი ფერის მასიური ხის სამზარეულო, ახალი, შეფუთულ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 700 დოლარი. ტელ. 68-82-09

იყიდება არაბული ჭაღი 18 სანთლიანი, გერმანული სერვიზი თეთრი კობალტის. ტელ. 66-06-96

გირავდება 1 წლით ერთოთახიანი იზოლირებული ბინა მეტრო „გურამიშვილის" თავზე, ტელეფონით, ფასი 1500$ ტელ. 66-96-19 (15 სთ-ის შემდეგ).

ვასწავლი გიტარაზე დაკვრას სწრაფი მეთოდით. მეცადინეობა კვირაში სამჯერ. ფასი 15 ლარი, მსურველებს დავეხმარები სინთეზატორის დაუფლებაში. ტელ. 29-44-61

იყიდება ოდნავ ნახმარი სარეცხი მანქანა „ოკა", შეღავათიან ფასში. ტელ. 29-35-02

ყველაზე სწრაფად და იაფად ვყიდით და ვამონტაჟებთ შიდა ჟალუზებს (მზის საწინააღმდეგო ფარდებს). მოგვმართეთ ტელეფონზე: 23-20-02 აკაკი

ფურგუნ-მოსკვიჩით მოვემსახურებით ნებისმიერ ორგანიზაციას. ტელ. 23-18-20

იყიდება კაკლის მურაბა (600 გრ.) 3500 ცალი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-18-20

## ავტომანქანა

იყიდება თეთრი ფერის ორკარიანი „ბმვ-316".. ლუქით. კარგ მდგომარეობაში. ფასი 3000 დოლარი. ტელ. 96-69-75

## ქირავდება

ქირავდება ვერაზე მელიქიშვილის ქუჩა №23, ოფისისათვის ან კომერციული საქმიანობისათვის, ლამაზი სახლის პირველი სართული. 4 მაღალჭერიანი ოთახით, სასაწყობო ფართით და აბაზანით, საერთო ფართი 100 კვ.მ, ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-52-54 ბელა

ქირავდება (უცხოელებისათვის) 2 ოთახიანი ბინა, მე-2 სართულზე, ჭავჭავაძის პროსპექტი №8, რემონტით. ფასი 300 დოლარი. ტელ. 23-20-60 ეთერი

ვაქირავებ კანდელაკის 31-ში კერძო ბინის ორ ოთახს პირველ სართულზე ოფისისათვის (შეიძლება გაქირავდეს ოჯახზეც), ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-68-88

ვაქირავებ 3 ოთახიან ბინას ავეჯით, ტელეფონით გლდანის გზატკეცილზე. ქერჩის ქ.№1-ში. 9 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე, ფასი 100 დოლარი. ტელ. 95-02-90 გოგი

ვაქირავებ სამოთახიანი ბინის 1 ოთახს მეტრო „პოლიტექნიკურთან", მე-3 სართული ტელ. 36-15-60

## ვმკურნალობ

მასაჟისტი შემოგთავაზებთ თქვენთვის და თქვენი შვილებისათვის როგორც სამკურნალო, ასევე გამაკაჟებელ მასაჟების კურსს. აგრეთვე მათ, ვისაც აწუხებს ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, სახსრების ტკივილი, სკოლიოზი და სხვ. ტელ. 74-19-54 მაია.


**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე.

მსმენელთა განკარგულებაშია IBM- ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები 80486 პროცესორით, პროგრამული საშუალებები (MS DOS, Norton Commander, Windows, Word Excel და სხვა) და მეთოდური ლიტერატურა.

თქვენ შეისწავლით MS Officce პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში.

**კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერთიფიკატს**

*მისამართი: იჭავჭავაძის I ჩიხი, №37 (კომპლექს „მზიურის" ტერიტორიაზე).*
*ტელ: 29-48-61; 29-48-60, 23-53-17 ფაქსი: 29-49-61*



ექსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89



**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41


## ● რა, როდის და რომელ არხზე

### ორშაბათი, 24 მარტი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 მოამბე. ორშაბათი მძიმე დღეა. ექიმის მოსვლამდე. 50/50. რამპა. 20.00 მოამბე. 20.35 ვიდეოპატრული 02. 20.40 ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი. პროგრამა დღე. 21.20 ტელესერიალი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 ვესტნიკი. 22.30 ქართული მხატვრული ფილმი „გარიგება". 23.50 ქვიშის საათი.

**2** 19.00 ინფორმაცია მეორე არხი. 19.20 მულტფილმები. სპორტული ესტაფეტა (გასული კვირის მსოფლიოს სპორტის მნიშვნელოვანი ინფორმაციები). 21.30 ინფორმაცია მეორე არხი და რეკლამა. 22.00 ამერიკული მხატვრული ფილმი „შიშველი პისტოლეტი-2". დასასრულს – მუსიკა.

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.25 ნოვოსტი. 11.15 „გოგონა, სახელად ბედი". 12.00 პოლე ჩუდეს. 13.00 ადამიანი და კანონი; 13.30, 21.35 გამოიცან მელოდია. 14.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. საჩვენებელი გამოსვლები. 15.45 საფეხბურთო მიმოხილვა. 16.15 დაკარგულის ძიებაში. 17.20 მულტსერიალი. 17.45 მარათონი-15. 18.05 ვარსკვლავთსაათი. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები". 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 21.10 პიკის საათი. 22.05 ვ.პოზნერის პროგრამა. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 „პოლტერგეისტი". 00.45 თეატრი -ტვ. 1.35 მხატვრული ფილმი „პროცესი".

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.30 ვესტი. 10.15 ტი-მარკეტი. 10.20 ტელემაღაზია. 10.25, 20.40 ტელესერიალი „ხენდრო". 10.55 ძვირფასო რედაქციავ- 11.20, 12.55, 13.15 პროდუქცია – ფოსტით. 11.30 კარაოკე რუსულად. 12.05, 23.10 „სანტა-ბარბარა". 13.25 საქმიანი რუსეთი. 14.05, 21.40 რუსები. 14.20 ფეხბურთი საზღვრებს გარეშე. 14.50 პალიხა, 14. 14.55 ავტოგრაფი. 15.00 სრულიად საიდუმლოდ. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მხატვრული ფილმი „მიახლოება". 17.55 ერთად. 18.25 ოჯახის ექიმი. 18.30 დიალოგები ცხოველებზე. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ-ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 21.10 პულსი. 22.35 მულტფილმები უფროსებისათვის. 00.10 საღამო მშვიდობისა. 1.30 ტელელატარია. 1.45 მორიგე ნაწილი. 2.00 სამეფო ლოჟა. 2.40 მსოფლიოს ქალაქების ღამეული ცხოვრება.

### სამშაბათი, 25 მარტი

**1** 8.00 ალიონი. ანონსი. 18.00 მოამბე. მამული გთავაზობთ. მესაკუთრე. ინტერმეცო. XXI. წმინდა ნინოს დედათა მონასტერი. 20.00 მოამბე. ვიდეოპატრული 02. ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი. პროგრამა დღე. 21.20 ტელესერიალი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 ვესტნიკი. ასპარეზი. ეის სტუდია გთავაზობთ. დასასრულს – ქვიშის საათი.

**2** 19.00 ინფორმაცია მეორე. არხი. 19.20 მულტფილმები. სპორტული გადაცემა გოლი. პოდიუმი. 21.30 ინფორმაცია მეორე არხი და რეკლამა. 22.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „ძველ ჩიკაგოში".

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.25 ნოვოსტი. 11.15, 20.20 „გოგონა, სახელად ბედი". 12.00 ვ.პოზნერის პროგრამა. 12.45 სმეხოპანორამა. 13.30, 21.35 გამოიცან მელოდია. 14.15 მხატვრული ფილმი „ბრინჯაოს ფრინველი", I სერია. 15.25 მულტფილმი. 15.45 ამერიკა ტარატუტას თვალით. 16.15 დაკარგულის ძიებაში. 17.20 მულტსერიალი. 17.45 კვარიეტე „მხიარული კვამპანია". 17.55 მულტიტროლია. 18.15 ჯადოსნური სამყარო, ანუ სინემა. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები". 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 21.10 პიკის საათი. 22.05 თემა. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 მხატვრული ფილმი „ანტონ ივანეს ძე ბრაზობს". 1.35 პრეს-კლუბი. 2.30 პრეს-ექსპრესი. 2.45 „კრეკერის მეთოდი".

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 ტი-მარკეტი. 10.20, 3.00 ტელემაღაზია. 10.25, 20.40 ტელესერიალი „ხენდრო". 10.55 ძვირფასო რედაქციავ- 11.20, 12.55, 13.15, 2.50 პროდუქცია – ფოსტით. 11.30, 22. 35 ანშლაგი წარმოგიდგენთ... 12.05, 23.15 „სანტა-ბარბარა". 13.25 საქმიანი რუსეთი. 14.05, 21.40 რუსები. 16.25 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კაპიტან გრანტის საძებნელად". 17.30 ორმაგი პორტრეტი. 18.00 უსასრულო მოგზაურობა. 18.25 მანეკენი. 18.30 თქვენი უფლება. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 21.10 ჭეშმარიტების მომენტი. 00.15 საღამო მშვიდობისა. 1.30 ოქროს ნიღაბი. 1.55 ხმოვანი ბილიკი.

### ოთხშაბათი, 26 მარტი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 მოამბე. დარბაზი. ეთერ ჭელიძე. 50/50. 20.00 მოამბე. ვიდეოპატრული 02. 20.45 ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი. პროგრამა დღე. 21.00 ტელესერიალი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 ვესტნიკი. პანორამა. დასასრულს – ქვიშის საათი.

**2** 19.00 ინფორმაცია მეორე არხი. 19.20 მულტფილმები. სიყვარულის ისტორია. 21.30 სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია მეორე არხი. 22.10 ქართული მხატვრული ფილმი „პიერი – მილიციის თანამშრომელი". დასასრულს – მუსიკალური გადაცემა.

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.30 ნოვოსტი. 11.15, 20.20 „გოგონა, სახელად ბედი". 12.05 თემა. 12.50 ცხოველთა სამყაროში. 13.30, 19.35 გამოიცან მელოდია. 14.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბრინჯაოს ფრინველი". 15.35 ისტორიის ბორბალი. 16.15 დაკარგულის ძიებაში. 17.20 მულტსერიალი. 17.20 მულტსერიალი. 17.45 კაქტუსი და ლ. 17.55 დომი-სოლ. 18.15 ჯუნგლის ძახილი. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები". 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 20.05 რათა გვახსოვდეს. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 ოსკარი-97. ტრანსლაცია ლოს-ანჟელესიდან. 1.40 მუსიკალური კომედია „წვიმაში მომღერალნი". 3.25 პრეს-ექსპრესი.

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 ტი-მარკეტი. 10.20, 2.45 ტელემაღაზია. 10.25, 20.40 ტელესერიალი „ხენდრო". 10.55 ძვირფასო რედაქციავ- 11.20, 12.55, 13.15, 2.35 პროდუქცია – ფოსტით. 11.30, 22.365 ქამელეონი. 12.05, 23.10 „სანტა-ბარბარა". 13.25 საქმიანი რუსეთი. 14.05, 21.40 რუსები. 14.20 ჭეშმარიტების მომენტი. 14.50, 18.25 ექსპოვესტნიკი. 14.55 ავტოგრაფი. 15.00 „ლ-2" წარმოგიდგენთ. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კაპიტან გრანტის საძებნელად". 17.35 21-ე კაბინეტი. 18.00 ოქროს ნიღაბი. 18.30 ცხოვრების წესი. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები; 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე.20.25 შეხედე საკუთარ თავს. 21.10 ახალი მეხუთე ბორბალი. 00.10 საღამო მშვიდობისა. 1.30 მსტისლავ როსტოპოვიჩი. მონოლოგები. 2.10 თქვენი წერილების პასუხად.

# ვინ ვინაა საქართველოში

შაბათს შედგა წიგნის „ვინ ვინაა საქართველოში“ პრეზენტაცია. ამ ცნობარში მოცემულია სრული ინფორმაცია 500 ქართველი პოლიტიკოსის, ბიზნესმენის, იურისტის, თეატრისა და კინოს მოღვაწის, მწერლის, ჟურნალისტის, მედიკოსის, მუსიკოსის, რელიგიური მოღვაწისა და სპორტსმენის შესახებ. წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „დიოგენეში“. მომავალში დაგეგმილია ამავე სერიის ცნობარების გამოცემა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების შესახებ. (ბი ჯი აი)

# რესპუბლიკაში ბიბლიოთეკების რაოდენობა მცირდება

1994 წელს რესპუბლიკაში ბიბლიოთეკების რაოდენობა 5000 აღწევდა. 1995 წლიდან კი, მათი რაოდენობა სხვადასხვა მიზეზების გამო 2700-მდე შემცირდა. დარჩენილ ბიბლიოთეკებს შორისაა ეროვნული, ახალგაზრდული, საბავშვო, აჭარის ორი რესპუბლიკური, 65 საქალაქო და რაიონული გაერთიანებები, 2561 საქალაქო და სოფლის ბიბლიოთეკები. დღეისათვის საბიბლიოთეკო სისტემაში მუშაობს 5000 თანამშრომელი. (იფრინდა)

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## თ

თაბოშვილი – 23 (გორი – 14; გარდაბანი – 8; გურჯაანი – 1);

თაბუშვილი – 28 (თბილისი – 12; თეთრიწყარო – 6; გორი – 5);

თაგვარელია – 24 (ზესტაფონი – 12; თბილისი – 11; სენაკი – 1);

თადაშვილი – 29 (თბილისი – 24; მცხეთა – 4; რუსთავი – 1);

თადიშვილი – 32 მცხეთა – 2; დუშეთი – 1; ოზურგეთი – 1);

თავგორაშვილი – 41 (რუსთავი – 17; თბილისი – 15; ყვარელი – 9);

თავთავაძე – 29 (თბილისი – 12; გარდაბანი – 11; რუსთავი – 5);

თავყელიშვილი – 39 (გორი– 21; თბილისი – 18);

თაზაშვილი – 25 (ახმეტა – 20; დედოფლისწყარო – 2; სიღნაღი – 3);

თათარგიორგიშვილი – 20 (გურჯაანი – 20);

თათარიძე – 25 (ახმეტა – 11; გურჯაანი – 7; თბილისი – 6);

თათარსაბაშვილი – 33 (გურჯაანი – 25; გარდაბანი – 3; თბილისი – 3);

თათელაშვილი – 33 (თბილისი – 11; დმანისი – 4; თელავი – 4);

თათიაშვილი – 32 (თბილისი – 8; რუსთავი – 8; გორი – 1);

თათიკიშვილი – 43 (დუშეთი – 31; თბილისი – 1; თიანეთი – 11);

თათილაშვილი – 21 (თბილისი – 2; გარდაბანი – 1; თელავი – 18);

თათრულაიძე – 49 (ახმეტა – 37; თბილისი – 4; თელავი – 8);

თათუხაშვილი – 26 (გარდაბანი – 15; თბილისი – 10; თეთრიწყარო – 1);

თაკალაძე – 45 (ზუგდიდი – 17; თბილისი – 9; ჩხოროწყუ – 3);

თალიაშვილი – 29 (თბილისი – 15; გურჯაანი – 5; თელავი – 3);

თამარაძე – 46 (ასპინძა – 25; ახალციხე – 11; ბათუმი – 3);

თამასიძე – 24 (გარდაბანი – 1; თბილისი – 23);

თანდუაშვილი – 29 (გორი – 20; დმანისი – 3; თბილისი – 2);

თარალოშვილი – 21 (დედოფლისწყარო – 18; დუშეთი – 1; თელავი – 1);

თაფლაშვილი – 20 (ახალციხე – 10; თბილისი – 7; ბათუმი – 1);

თაღორაშვილი – 42 (თელავი – 3; რუსთავი – 1; ყვარელი – 38);

თაყაიძე – 23 (თბილისი – 13; გორი – 8; ქარელი – 2);

თებლოშვილი – 40 (ახმეტა – 19; თბილისი – 13; ადიგენი – 3);

თედოშვილი – 43 (თბილისი – 26; გორი – 6; ქუთაისი – 6);

თეიმურაზიშვილი – 35 (თბილისი – 23; გარდაბანი – 3; დედოფლისწყარო – 2);

თელაურიძე – 38 (ახმეტა – 27; თბილისი – 4; რუსთავი – 7);

თერგიაშვილი – 30 (გურჯაანი – 20; თბილისი – 10);

თექაძე – 28 (თბილისი – 13; მცხეთა – 15);

თუქთუმანაშვილი – 22 (დუშეთი – 13; თბილისი – 7. ყვარელი – 2);

თუქთუმანიშვილი – 22 (თბილისი – 13; ახალგორი – 3; კასპი – 1);

თუქთურმანიძე – 22 (თბილისი – 7; გარდაბანი – 6; დუშეთი – 1);

თვალიძე – 34 (ზუგდიდი – 3; ქუთაისი – 3; ბათუმი – 1);

თიაყაშვილი – 28 (ახმეტა – 14; დედოფლისწყარო – 10; თელავი – 2);

თიბელაშვილი – 22 (თბილისი – 9; დედოფლისწყარო – 3; გორი – 3);

თივათელიძე – 46 (ქარელი – 2; ხაშური – 44);

თინაძე – 20 (თბილისი – 8; თეთრიწყარო – 12);

თოთრაშვილი – 41 (გარდაბანი – 28; გორი – 2; თბილისი – 11);

თოლიაშვილი – 30 (თბილისი – 12; მცხეთა – 11; რუსთავი – 7);

თოლომაშვილი – 36 (თბილისი – 10; საგარეჯო – 26);

თორელაშვილი – 34 (ახალგორი – 17; თბილისი – 15; ადიგენი – 1);

თორიაშვილი – 46 (თბილისი – 33; გარდაბანი – 4; თეთრიწყარო – 1);

თოფალაშვილი – 23 (დედოფლისწყარო – 3; თბილისი – 2; გურჯაანი – 1);

თოფჩიძე – 23 (ბათუმი – 11; ხელვაჩაური – 12);

თოხარიკაშვილი – 50 (გურჯაანი – 15; თელავი – 13; რუსთავი – 5);

თუთაძე – 32 (თბილისი – 18; მცხეთა – 13; ქუთაისი – 1);

თუშაბრამიშვილი – 43 (თბილისი – 12; გურჯაანი – 2; ახალციხე – 1);

თულოშვილი – 30 (ქარელი – 9; გორი – 6; თბილისი – 3);

თურქესტანიშვილი – 28 (თბილისი – 19; დედოფლისწყარო – 2; გარდაბანი – 1);

თუშური – 34 (თბილისი – 30; თიანეთი – 1; რუსთავი – 3);

თხელაძე – 37 (თბილისი – 13; ქუთაისი – 7; ბაღდათი – 6).

# პოლიტიკური ჯვარედი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჰორიზონტალურად:** 1. სოფელი ზღვის პირას, სადაც ჩვენები ჩვენებს ებრძოდნენ; 6. ისე ამ ქვეყანაში უფრო მეტი ჟლიტეს ერთმანეთი; 10. ამ ქალბატონს მეროობა მოსდომებია, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა გალაქტიონის სიყვარულით; 12. ოსებმა ამ მდინარეს სახელი დაარქვეს და ჩვენკენ გამოსწიეს; 13. იგი ძალიან უყვართ რუსებსა და სომხებს. ამიტომაც გამოგვყარეს; 14. ჩვენი „კამსამოლები“ ცოტა ხნით ამფერები გახდნენ. ახლა ვარდისფერები არიან; 16. მზიურიანი ქუჩა „ყარაყორუმს“; 20. მდინარე, რომელმაც სახელი მისცა ხოხობს ევროპულ ენებზე; 21. სარგის თმოგველის ჩვენამდე მოუღწეველი ქმნილება; 23. ... ვაზისა; 26. ამ მთავრობის ხელში ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა არის... იმედი; 29. გარეული ცხოველი; 31. ის ადგილი, რაც მილიონობით ჰქონიათ მოქალაქეებს და ჯერჯერობით მალავენ; 33. მაიორ არლოვის მეტსახელი, შერქმეული ვერტ 4-ის მიერ; 34. ფიდეს პრეზიდენტის სატახტო ქალაქი; 35. XVIII ს. ქართველი პოეტი; 36. მოიდა... (სპიკერს არ ვგულისხმობ); 38. ფულის ერთეული. იხ. ჰორ.14; 40. მისი სათავეები თურქეთმა წაგვართვა; 42. მთელი აფხაზეთიდან ამ ხეობის ნაწილიღა შეგვრჩა; 43. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. ესეც თურქეთშია; 47. ხურდა ფული; 48. უმაღლესი სასულიერო ტიტული ზოგიერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში; 51. ეს სოფელი თავისი ეკლესიითურთ ჯერ კიდევ საქართველოშია; 55. არქიპელაგი, სადაც თურმე ქართველებს არ უშვებდნენ; 56. კაპადოკიელი წმინდანი; 58. გადასარჩენი რამ; 59; არატიპიური ქართველი. ეგრისის მთავარი; 60. მამა-პაპის დანატოვარი, მოფრთხილება სჭირდება; 61. მეფესთან არსებული ფეოდალების სათათბირო ორგანო XI-XVIII სს. საქართველოში; 62. საზეიმო საგალობელი ან მისი მისამღერი ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში.

**ვერტიკალურად:** 2. ჩვენი განმანათლებელი; 3. ვაზის ერთწლიანი რქა; 4. ცნობილი ყაჩაღი ცნობილი სოფლიდან; 5. ნატო (-)... 7. თვე, როცა მოკვდა იოსიფ ვისარიონოვიჩი (ამ დროს სოსელო კარგა ხნის მკვდარი იყო); 8. თავსამკაული; 9. იხ. ჰორ. 47 და 29. თუ გნებავთ, 56-ც; 11. ეს ყვავილი მშვენიერ გვარსა და თანამდებობას აფუჭებს; 15. „... საქართველოდან“; 17. ახსნა იხ. ჰორ. 43; 18. მართლა რომ მესროფა მაშტოცს შეექმნა იგი ჩვენთვის, სულაც კირილიცაზე გადავიდოდი; 19. არც ამ პრეზიდენტმა ივარგა; 22. ადრე მისი მამა-მარჩენალის რჩეული შვილი იყო, ახლა ჩულურეთელების „რჩეულია“ (ისემც მაგას რა ვუთხარი – მე თვითონა ვარ ჩულურეთელი); 24. ამ მშვენიერ დაბას არაკაცის გვარი ერქვა; 25. ქართველებით დასახლებული ოლქი ირანში; 27. ჩვენი სამივე პარლამენტის დიდი უმრავლესობა არის ერის...; 30. კურორტი საქართველოში, ძალიან მოსწონს ჩვენზე ზრუნვაში დაქანცულ ელიტას; 30. თავადური გვარის მქონე ამ მწერლის რომანში ბევრი პერსონაჟია, თვითონ ავტორს რატომღაც თაბაგრობა ურჩევნია; 32. ესენი კი გვყავს ბევრი და მრავალგვარი; 37. პატარა ქვეყანა, რომელსაც ჩვენგან განსხვავებით არავინ ემუქრება; 39. გერმანელი მწერალი და ქართველოლოგი; 41. შაშიაშვილის სატახტო ქალაქი; 44. გიორგაძის მემკვიდრე; 45. ეს პროფესორი „ტუდა-სუდას“ გვასწავლიდა; 46. ჩვენი ზედმეტი სიყვარულის ობიექტი; 49. დიდგორში მათი ასეულიც იბრძოდა; 50. მგლის ლეკვების დასაზრდელი ხეობა; 52. კგამსახურდიას თქმით, ეს თანამედროვე ფარნავაზი გარაჟში რომ დაბადებულიყო, ავტობუსი იქნებოდა; 53. გარეული ცხოველი ვერტ 50-დან; 54. დიდი ილიას მეუღლე. ამ კროსვორდში მისი გვარიც ფიგურირებს. 57. „უბედური... მე-ფე“.

მერაბ ფეიქრიშვილი

## წინა კაიფვორდის პასუხები

**მდგომიარედ:** 1. სვავი; 2. უვერტიურა; 3. პლანეტა; 5. დიფტერია; 6. აზარტი; 9. შარადა; 10. სისინი; 15. ზოდიაქო; 16. ნარდი; 18. იუბილე; 21. რობოტი; 23. ტიხარი; 25. აბედი; 24. ბანკირი; 28. რკინა; 30. ნიავი; 32. იურა; 35. სერგო; 37. დიმა; 38. ნოლი.

**მიწოლილად:** 4. კუდი; 7. ყვავილი; 8. ბოზბაში; 10. სეფა; 11. ავარდნილი; 12. ბარიერი; 13. იატაკი; 14. რეზონი; 17. კიკუ; 19. ავდარი; 20. აბჯარი; 22. რიტუალი; 24. ბონა; 26. ლეიბი; 27. ორგანო; 29. ტირანია; 31. ჟიური; 33. რადიუმი; 34. გარსი; 36. კარდინალი; 39. ლიმონა; 40. ნაგაზი; 41. სურათი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444